# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 5 ნოემბერი 2008 №256 (3480) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

## სასწაულმოქმედება გრძელდება: პატარა ქვეყნის პატარა კლუბი დიდ ამბავშია

### თემურ ქეცბაიას სენსაციები

### როგორ გვჭირდება აქ, რასაც აკეთებს იქ







თემურ ქეცბაია და ჟოზე მაურინიუ

## დასჯილი ხალხის განაჩენს ელის

### ლიპი, ულივიერი, საკი, კაპელო, ტრაპატონი: რომელ მწვრთნელს მიტყეპავდა ცხენისკუდა?

ერთ-ერთი პირველი ინტერვიუ დიდი ხნის დუმილის შემდეგ

*მაია ჯიჯავა რომიდან*

ეროვნული ბიბლიოთეკა





ექტორ რაულ კუპერი და გიორგი მერებაშვილი

# მრავალფეროვანი კუპერაცია

**ეჭვიც** არ გვეპარება, გუშინ საგურამოს ბაზაზე რამდენიმე ფეხბურთელმა პირველად ნახა მსგავსი ვარჯიში და ამიტომაც იყო, რომ ექტორ რაულ კუპერის მითითებებს მაშინვე ვერ იგებდნენ. თუმც ეს არცაა გასაკვირი — ახალ ელემენტებს დამუშავება უნდა, დამუშავებას კი დრო.

არც ექტორ რაულ კუპერს უკვირს: იცის, რომ ახლა „ვალენსიასა“ თუ „ინტერში“ ალარ მუშაობს.

არგენტინელმა ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშე 19 ფეხბურთელს უხმო. ეს მეორე სამშაბათური წვრთნა იყო, პირველი კი, გეხსომებათ, კუპერმა კვიპროს-ბულგარეთთან მატჩებამდე ჩაატარა.

რაც მეტი ასეთი ვარჯიში იქნება და რაც მეტი ფეხბურთელი გამოიცდება, მით უკეთესი, მაგრამ პრობლემა ისაა, რომ ჩვენი ჩემპიონატის კალენდარი ძალიან შემჭიდროვებულია, კლუბებს კი თუნდაც ერთი ფეხბურთელის ერთი დღით გამოკლება რომ დიდად არ ეპიტნავებოდეთ, არცაა გასაკვირი. თუმცა კარგია, რომ ჩვენი გუნდების მწვრთნელები გაგებით ეკიდებიან ეროვნული ნაკრების ინტერესებს.

რაც მეტი ფეხბურთელი გამოიცდება... ეს უკვე ვახსენეთ და, სიმართლე ვთქვათ, სადღეისოდ უფრო ოპტიმალური 19-ეულის შერჩევა შეიძლებოდა. თუმცა ეს სხვა თემაა — კუპერი ყველა ტურში კი ესწრება მატჩებს, მაგრამ შესაძლოა, კონკრეტულად რომელიმე კარგმა ფეხბურთელმა კონკრეტულად იმ ერთ მატჩში ვერ ითამაშა კარგად.

მოკლედ, სელექციაში შეცდომის ალბათობა ყოველთვის არის და რაც ნაკლები იქნება, მით უკეთესი. იმედია, ჭაღარა არგენტინელს ნიჭიერი და სანაკრებოდ საინტერესო ბიჭები არ გამოეპარება.

ვარჯიში დაახლოებით საათნახევარს გაგრძელდა. თავიდან კუპერის თანაშემწე ხოსე ფანტაგუსი წვრთნიდა ბიჭებს, მოკლე მანძილზე კვადრატულად, ოთხ ფეხბურთელს შორის ორ შეხებაში პასებში გაახურა ისინი, მერე კი „ფანტამ“ (ფანტაგუსის ასე ეძახიან) და კუპერმა შეტევის ორგანიზებაზე, ცენტრიდან ფლანგზე (და პირიქით) ბურთის გადატანასა და მკაცრ პრესინგზე ამუშავეს მოთამაშეები.

კუპერმა რომ შეატყო, ზუსტად ვერ იგებენ ნათქვამსო, მწვანე მაისურა თვითონაც გადაიცვა.

ერთი რამ გვენიშნა: ფლანგიდან ჩაწოდების შემდეგ კარში დარტყმები იშვიათად მთავრდებოდა გოლით, რაც კუპერს, ცხადია, არ მოსწონდა.

ისე, არგენტინელი ხორვატ პეტარ სეგრტს თითქმის უტოლდება ემოციის გამოხატვაში — შენიშვნა-საყვედურებთან ერთად, არც ხუმრობა ავიწყდებოდა. ბიჭებსაც ეტყობოდათ, რომ თვალებში შესცქეროდნენ მწვრთნელს და მისგან ყველაფრის ათვისება სურდათ.

ტაქტიკური ვარჯიშების შემდეგ, კუპერმა ბიჭები წაახალისა და სოლო-გარღვევებში ავარჯიშა. ერთი შემტევი მეკარისა და მცველის წინააღმდეგ მიდიოდა, ოღონდ მცველადაც მეკარე იდგა ხოლმე — ლომაია, თევდორაძე ან მერლანი.

ბევრის სწავლა შეიძლება ამ წვრთნებისგან — არა, კლაუს ტოპმიოლერი რომ ყაძახივით წამოგვდგომოდა თავზე და ეროვნულ ჩემპიონატს ლამის თითით დასცინოდა, აგერ, კუპერი ფუტკარივით ფუსფუსებს...

ნავარჯიშევს *გიორგი მერებაშვილს* ორიოდე წუთი გამოველაპარაკეთ:

— რას იტყვი დღევანდელ ვარჯიშზე, რამდენად სასარგებლო იყო?

— ნებისმიერი ასეთი ვარჯიში სასარგებლოა. კუპერის წვრთნები მრავალფეროვანი და საინტერესოა, ბევრ სიახლეს შეიძენს ფეხბურთელი.

— რუმინეთთან ამხანაგური მატჩი ახლოვდება და შეიძლება, ჩვენი ჩემპიონატიდან უფრო ბევრი ფეხბურთელი მოხვდეს ნაკრებში, ვიდრე ეს ოქტომბრის შეხვედრებში იყო...

— საქართველოს ჩემპიონატში ბევრი ნიჭიერი ფეხბურთელი თამაშობს. კარგია, რომ ყურადღება გვექცევა. ჩვენთან მართლაც თამაშობენ ისეთი ფეხბურთელები, რომლებიც ნაკრებს გამოადგებიან და ეს ბულგარეთთან მატჩშიც დამტკიცდა.

**ილია ნანობაშვილი**

# ნუ გვათამაშებთ ჯოჯოხეთში!
## ირაკლი კლიმიაშვილს სამშაბათი მოსწონს



ბოლო ორ სეზონში ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი ვიტჯორჯიელი ირაკლი კლიმიაშვილია, რომელიც ახალგაზრდული ნაკრების წევრიცაა და საქართველოს ეროვნული ნაკრების კანდიდატადაც განიხილება. ჩვენი ეროვნული გუნდის არგენტინელი თავკაცი ექტორ რაულ კუპერი მას აკვირდება და ორივე სამშაბათის ვარჯიშზეც იახლა. კლიმიაშვილს გუშინდელი წვრთნის შემდეგ გავესაუბრეთ...

— რა თქმა უნდა, სასიამოვნოა, როცა ეროვნული ნაკრების თავკაცი უყურადღებოდ არ ტოვებს ჩვენს ჩემპიონატს და ასეთ წვრთნებს ატარებს. მისი ვარჯიშები ძალიან საინტერესოა, ფეხბურთელები უფრო და უფრო ვუგებთ ერთმანეთს, რაც ფეხბურთში საკმაოდ მნიშვნელოვანი ფაქტორია.

— ეროვნული ჩემპიონატის ბოლო ტურში „ვიტ ჯორჯიამ“ და „დინამომ“ (2:2) მართლაც სანახაობრივი თამაში გაჩაღეთ...

— როგორც ლიდერებს შეეფერება, ისეთი მატჩი იყო — ბევრი გოლიც გავიდა და სახიფათო მომენტებს ხომ თვლა აღარ ჰქონდა. დასანანია, რომ ორბურთიანი უპირატესობა ვერ შევინარჩუნეთ.

— ბევრის აზრით, მე-20 ეროვნული ჩემპიონატი გასულ წლებთან შედარებით უკეთესი სანახავია და დაძაბულობაც გაცილებით მეტია. ამაზე რას იტყვი?

— მართლაც განსაკუთრებულად დაიწყო ეს ჩემპიონატი. ვინ ვის უგებს, ვერ გაიგებ. წინა ჩემპიონატში 15 თამაში მიჯრით მოვიგეთ, წლეულს კი ადვილად ველარავის დაამარცხებ. კარგი იქნება, თუ მეტი მაყურებელი მოვა სტადიონზე. ეს ჩვენთვის დიდი სტიმულია. დარწმუნებული ვარ, ბევრი მაყურებლის თვალწინ ფეხბურთელები კიდევ უფრო მოინდომებენ.

— „ვიტ ჯორჯია“, რა თქმა უნდა, ჩემპიონობისთვის იბრძოლებს. მთავარ კონკურენტად ვის მიიჩნევ?

— ცხრილს თუ ჩავხედავთ, „ლოკომოტივს“, „დინამოს“, „ზესტაფონს“, თუმც არ გამოვრიცხავ, რომ სხვა გუნდებიც დაწინაურდნენ. ისე, ჩვენი ერთადერთი მიზანი ჩემპიონობაა.

— ამას წინათ საქართველოს ნაკრების ფან-კლუბთან ერთად შენ, გიორგი ლომაია და რატი ალექსიძე სტუდენტებს შეხვდით, რაც გულშემატკივრებთან თქვენს დაახლოებას უთუოდ შეუწყობს ხელს...

— მართლა კარგი წამოწყებაა. ქართულ ფეხბურთს გულშემატკივართა მხარდაჭერა ძალიან სჭირდება. იმედია, ასეთი შეხვედრები შედეგს გამოიღებს და ქომაგები სტადიონზე მოვლენ. ცარიელი ტრიბუნების წინ ფეხბურთის თამაში ჯოჯოხეთია.

**ნუგზარი ლოლაძე**



გიორგი და პაატა

# ორი ამბავი ძმებ დათუნაიშვილებზე

**ჩვენი** ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო ნახევარმცველი, ვიტ-ჯორჯიელი გიორგი დათუნაიშვილი სამი კვირის წინ დაშავდა — ვარჯიშზე გრეხეტბოლის თამაშისას მაკრატელა დაარტყა, უხერხულად დაეცა მინდორზე, ლავიწის ძვალი ამოიგდო და მყესებიც გაუწყდა.

„რამდენიმე დღეა, რაც ძუნძული დავიწყე, სავარაუდოდ, ორ კვირაში თამაშიც შემეძლება" — გვითხრა გუშინ გიორგი დათუნაიშვილმა.

ერთი სასიამოვნო ცნობაც — გუშინ გიორგის ძმამ, პაატამ, ვინც ლატვიურ „დინაბურგში" თამაშობს, თბილისში ჯვარი დაიწერა და სარბიელელებიც გულით ვულოცავთ დაოჯახებას!

**ნუკრი ლოლაძე**

# ლიპიმ იტალიის ასაკს გადახედა



**იტალიის** ნაკრების მთავარი მწვრთნელი მარჩელო ლიპი გუნდის გაახალგაზრდავებას აპირებს.

„ურიგო არ იქნებოდა ახალი სახეების გამოჩენა. ყველამ იცის, მაგალითად, ალესანდრო დელ პიეროს შესაძლებლობები. ამიტომ, საქმეში ახლების ნახვა მსურს" — უთხრა ჟურნალისტებს ლიპიმ, რომელიც იტალიურმა პრესამ ნაკრებში ახალგაზრდა ფეხბურთელების სიმცირის გამო ბოლო ხანს არაერთხელ გააკრიტიკა.

„ამაურის პატივს ვცემ, მაგრამ ნაკრების პოტენციურ კანდიდატად მას შემდეგ განვიხილავ, როცა ის იტალიის მოქალაქე გახდება" — ეს კი ლიპიმ ტურინის „იუვენტუსის" ბრაზილიელ ფორვარდზე თქვა.

შეგახსენებთ, რომ მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში იტალია საქართველოს მეტოქეა.

**კახა ზალამბერიძე**

# მეათეს ოცდამეშვიდე

**მოსკოვში,** „ლოკომოტივ" — „დინამოს" (0:1) მატჩი დავით მუჯირისთვის განსაკუთრებული იყო.

საქმე ისაა, რომ რკინიგზელთა 10 ნომერი წლევანდელ პრემიერლიგაში პირველად გამოჩნდა ძირითად შემადგენლობაში და სრულადაც ითამაშა.

მუჯირს სუპერთამაში არ ჰქონია, თუმც დმიტრი სიჩოვს ერთხელ ისეთი პასი მისცა, რუსმა მიმომხილველებმა მატჩის საუკეთესო მომენტად რომ ჩათვალეს.

„აი, 27-ე ტურში შედგა ჩემი სრულფასოვანი დებიუტი. სასიამოვნო იყო. ამდენი ხანი ველოდი ჩემს შანსს. რატომ არ მათამაშებდნენ? ეს კითხვა საჩემო არ არის. ჩვენ პროფესიონალები ვართ, უნდა ვივარჯიშოთ და ველოდოთ შანსს. „დინამოსთან" ცუდად არ მითამაშია, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ მანამდე სულ სათადარიგოებში ვიყავი. ისე კი, გოლი რომ გამეტანა, ცხადია, ძალიან მაგარი იქნებოდა" — ამბობს მუჯირი.

**ილია ნანობაშვილი**





თბილისის „დინამოს" გერმანელი თავკაცი რაინერ ცობელი 3 ნოემბერს 60 წლის გახდა. ჰერ რაინერს იუბილეს ვულოცავთ და გთავაზობთ ინტერვიუს, რომელიც მას თბილისის „დინამოს" ოფიციალურმა ვებგვერდმა ჩამოართვა...

# რაინერ ცობელის თბილისური იუბილე

— ჰერ რაინერ, იქნებ თქვენი მდიდარ კარიერიდან ყველაზე სასიამოვნოდ მოსაგონარი პერიოდი გაიხსენოთ...

— გასახსენებელი მათრლაც ბევრია, მაგრამ „ბაიერნში" თამაშის პერიოდი ჩემთვის გამორჩეულია. ახალგაზრდულ ასაკში მოვხვდი გუნდში, რომელში თამაშიც ცხოვრების ოცნება იყო. ოცნება ამიხდა და წლების განმავლობაში ვთამაშობდი მიუნხენელთა რიგებში, ეს ფანტასტიკა იყო... რაც შეეხება სამწვრთნელო კარიერას, ჩემთვის მნიშვნელოვანი და ძალიან საინტერესო გამოდგა ბოლო 10 წელი, როცა ბევრ ქვეყანაში მომიხდა მუშაობა — ბევრ, ერთმანეთისგან განსხვავებული მენტალიტეტის მქონე ხალხთან მომიწია ურთიერთობა. ამ 10 წლის განმავლობაში ბევრი ვისწავლე და თუნდაც იმის მომსწრე გავხდი, რაც ცოტა ხნის წინ საქართველოში მოხდა. ერთს ვისურვებდი, როგორც კოსმოსიდან ასტრონავტი ვერ ხედავს დედამიწაზე საზღვრებს, მინდა, ხალხის აზროვნებაც ასე შეცვლილიყოს.

— ცოტა რამ თქვენ ოჯახზეც გვიამბეთ...

— ოჯახი ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია. მის გარეშე ვერაფერს შევძლებდი. მყავს სამი შვილი და მეუღლე, რომელიც ძალიან ძლიერი პიროვნებაა. ვაჟი ფეხბურთს თამაშობს — რამდენად სერიოზული სახე მიეცემას ამას, მომავალი გვიჩვენებს. ერთი კი ვიცი, შვილების არჩევანში მე არ ჩავერევი. ახლა მთავარია, მათ კარგად ისწავლონ.

— „დინამოს" ბოლო თამაშებმა ოპტიმისტურად განგვაწყო, მაგრამ სტარტი წარუმატებელი იყო. რა გახდა პირველ შეხვედრებში მარცხის მიზეზი?

— ახალი მწვრთნელი, ახალი გუნდი — გარკვეული პერიოდი სჭირდება იმას, რომ ფეხბურთელები და მწვრთნელი ერთმანეთს შეეწყონ. „ბაიერნი" დიდი კლუბია, იურგენ კლინსმანი კარგი მწვრთნელი, მაგრამ მასაც დასჭირდა დრო, რათა გუნდი აეთამაშებულიყო.

— რომელ შეხვედრაში მოგეწონათ ყველაზე უფრო „დინამოს" თამაში და რომელი შეხვედრა ჩაატარა გუნდმა ყველაზე სუსტად?

— ყველაზე ცუდი „ვიტ ჯორჯიასთან" ბოლო თამაშის პირველი 15 წუთი იყო, როცა უკვე 0:2-ს ვაგებდით. ასევე „ზესტაფონთან" მატჩის პირველი ტაიმი. მაგრამ მეორე ნახევარში მასპინძლებს 10 კაცით ვაჯობეთ. „ვიტ ჯორჯიასთან" კი ანგარიში გავათანაბრეთ და მოგებაც შეგვეძლო. ჯერ ვერ ვახერხებთ, მთელი 90 წუთი თანაბრად, მაღალ დონეზე ვითამაშოთ და ჩვენი უმთავრესი ამოცანაც ეს არის.

— მიზანი უცვლელია: ჩემპიონობა. კითხვაზე, ვინ მიგაჩნიათ მთავარ კონკურენტებად, თქვენ ადრე უპასუხეთ, რომ „დინამოს" მთავარი მეტოქე „დინამოა". ისევ ასე ფიქრობთ?

— ვფიქრობ, ახლაც ასეა. ჩვენ თუ შევძელით, მთელი მატჩის განმავლობაში მობილიზებულნი ვიყოთ და ისე ვითამაშოთ, როგორც შეგვიძლია, მიზანსაც მივაღწევთ.

# აზერბაიჯანი 9:4 საქართველო

**მართალია,** ქართულ საკლუბო ფეხბურთთან პირდაპირი არა, მაგრამ გადატანითი კავშირი არ აქვს იმას, რასაც ახლა დავწერთ: აზერბაიჯანელებმა გამოაქვეყნეს მათი კლუბების ვებგვერდების ფასები — ეს მოხერხდა აპრობირებული სისტემით, რომლითაც ნებისმიერი ვებგვერდისის ფასს გაიგებ.

სისტემა აფიქსირებს ვებგვერდებზე რეკლამების და მომხმარებელთა რაოდენობას, ფორუმის დატვირთულობას და შემდეგ კი ითვლის კოეფიციენტებს.

მსოფლიოში ყველაზე ძვირია yahoo.com — 2 მილიარდ 410 მილიონი ამერიკული დოლარი (!). მეორე ადგილზეა google.com — 1,2 მილიარდი, მესამეზე კი youtube.com — 803 მილიონი.

აზერბაიჯანელებმა თავიანთი კლუბების ვებგვრდების ფასები დაადგინეს: 1. „ხაზარი" — 8073 დოლარი, 2. „ინტერი" — 6175, 3. „ნეფთჩი" — 5971, 4. „ბაკი" — 5037, 5. „ყარაბახი" — 4898, 6. „სიმურგი" — 4861, 7. „გაბალა" — 3971, 8. „ქარვანი" — 3920, 9. „სტანდარდი" — 1226.

აზერბაიჯანული ფეხბურთის ფედერაციის ვებგვერდი კი 19038 ღირს.

აზერბაიჯანში თუ ცხრა კლუბი ამუშავებს ვებგვერდს, საქართველოში, იცით, რამდენს აქვს ამის ფუფუნება?! უმაღლესი ლიგის ოთხ და პირველი ლიგის ორ გუნდს: „დინამოს", „ზესტაფონს", „ვიტ ჯორჯიას", „ლოკომოტივს", „ამერს" და „ბაიას".

ისე, ცარიელ ვებგვერდს რა აზრი აქვს, თუ დატვირთული არ არის ინფორმაციით და ასე შემდეგ.

ამ მხრივ იოლად შეგიძლიათ, შეადაროთ ქართული და აზერბაიჯანული კლუბების ვებგვერდები.

ეს ისე, ინტერესისთვის...

**ილია ნანობაშვილი**

# გოგობერიშვილი უქმობს

**აზერბაიჯანული** „ყარაბახის" ქართველი ნახევარმცველი ალექსანდრე გოგობერიშვილი დაშავდა და გუნდს უახლოეს მატჩში გამოაკლდება.

„ყარაბახის" ექიმების ცნობით, ტრავმა საშიში არ ჩანს და გოგობერიშვილმა მალე უნდა დაიწყოს ვარჯიში.

„ყარაბახი" აზერბაიჯანის თასის მერვედფინალურ ეტაპზე „ბაკილის" ხვდება და, წესით, გოგობერიშვილი მხოლოდ ამ თამაშში ვერ უნდა დაეხმაროს თავის გუნდს...

**კახა ზალამბერიძე**

# ცვლილებები პირველ ლიგაში

**საქართველოს** ეროვნული ჩემპიონატის პირველი ლიგის, აღმოსავლეთ ზონის მე-12 ტურის მატჩებში ცვლილებები მოხდა.

პროფლიგის გადაწყვეტილებით, აღმოსავლეთ ზონაში 7 ნოემბერს გასამართი თამაში „სიონი 2" — „გაგრა 2" ჩატარდება 9 ნოემბერს, ხოლო 9 ნოემბერს გასამართი შეხვედრა „კახეთი — ამერი" შედგება 7 ნოემბერს.

ტურის განრიგი ასეთ სახეს მიიღებს:

**მე-12 ტური, 7 ნოემბერი**

**კახეთი — ამერი**

**9 ნოემბერი**

**სიონი 2 — გაგრა 2**

**დილა — თბილისი**

**დინამო 2 — ნორჩი დინამო**

**ჩიხურა — ვიტ ჯორჯია 2**

**ჰერეთი ისვენებს**

# ხალხის სიყვარულის გამო დასჯილი ბაჯო




ანდრეინა, რობერტო და ვალენტინა

მაია ჯიჯავა
რომიდან

| რობერტო ბაჯო | | | |
|---|---|---|---|
| დაიბადა 1967 წლის 18 თებერვალს | | | |
| კარიერა | | | |
| 1982-85 | ვიჩენცა | 46 | 15 |
| 1985-90 | ფიორენტინა | 135 | 55 |
| 1990-95 | იუვენტუსი | 201 | 115 |
| 1995-97 | მილანი | 67 | 19 |
| 1997-98 | ბოლონია | 33 | 23 |
| 1998-00 | ინტერი | 62 | 18 |
| 2000-04 | ბრეშა | 100 | 46 |

იტალიის ნაკრებში (1988-2004) 56 მატჩი, 27 გოლი

1990: მსოფლიოს საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელი;
1993: ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი;
1993: მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი.

ცოტა ხნის წინ რომში ევროპული ქვეყნების საფეხბურთო ლიგებმა, მსოფლიოში სიღარიბის დაძლევის მიზნით შექმნილ ორგანიზაცია FAO-სთან ერთად საქველმოქმედო მატჩი ჩაატარეს, რომელშიც იტალიური ფეხბურთის ცოცხალმა ლეგენდამ რობერტო ბაჯომაც მიიღო მონაწილეობა.

თავისთავად, ასეთ სალამოებზე დასწრება ყველა ჟურნალისტისთვის საინტერესოა, მაგრამ მით უმეტეს ღირშესანიშნავი და დაუვიწყარი გამოდგება ეს ამბავი შენთვის მაშინ, როცა საშუალება გეძლევა, თვით რობერტო ბაჯოს შეხვდე! ფეხბურთელი, რომელიც ასე ძლიერ აკლია იტალიურ და მსოფლიო ფეხბურთს, ფეხბურთელი, რომელმაც უკვე რამდენიმე წელია, კატეგორიული უარი განაცხადა პრესასთან ურთიერთობაზე და ფეხბურთელი, რომელიც სათაყვანებელია მთელი იტალიისთვის.

41 წლის ბაჯო ოდნავ მოტეხილი ჩანს, ჭაღარაშეპარულ რობის ცნობილი კიკინაც მოუცილებია და არ ვიცი, რატომ დაარღვია პრესასთან დუმილი ამ ბოლო დღეებში, მაგრამ როცა შევხვდი, მის დიდ მწვანე თვალებში რაღაც დიდი სევდისმაგვარი ამოვიკითხე...

დაბნეულობა დაბნეულობად და, მცირეხნიანი უხერხული სიჩუმის შემდეგ გაიღიმა და მანიშნა, რომ კითხვების დასმა შემეძლო. ოღონდ საათზეც მიმანიშნა, ბევრი დრო არ მაქვსო...

ამის მიუხედავად, რობი დაგეგმილზე მეტხანს შევაყოვნე. მართალია, ამხელა პიროვნებასთან სასაუბროდ ეს დრო ზღვაში წვეთი იყო, მაგრამ...

რაც არის, ეს არის...

## იმედია, მალე უფრო მეტს გეტყვით

— სინიორ ბაჯო, საქართველოში ძალიან ბევრი გულშემატკივარი გყავთ, რომლებსაც დღემდე ახსოვხართ და უყვარხართ. რა შეგიძლიათ, ქართულ ფეხბურთზე გვითხრათ?

— პირველ რიგში, მინდა, უღრმესი მადლობა გადავუხადო ჩემს ქართველ გულშემატკივრებს ამ სიყვარულისთვის. სამწუხაროდ, ბევრი არაფრის თქმა არ შემიძლია თქვენს ფეხბურთსა და ნაკრებზე. არ ვარ კომპეტენტური. მახსოვს, საქართველოში იტალიის ნაკრებთან ერთად რამდენიმე წლის წინ ვიყავი, თუმცა, რა თქმა უნდა, ვერ მოვახერხე, ხეირიანად გავცნობოდი თქვენს ქვეყანას და ხალხს. ვიცი მხოლოდ ის, რომ ფეხბურთის მოყვარული ერი ხართ და გულწრფელად გისურვებთ წარმატებებს!

— ქართველ ფეხბურთელებზეც არ გაგიგიათ რამე?

— როგორ არა! სამწუხაროდ, გვარების დამახსოვრება მიჭირს, მაგრამ მილანელი კახა კალაძე ვიცი. სხვებიც გამიგია... თუ არ ვცდები, კიდევ ერთი ახალგაზრდა ქართველი გამოჩნდა ახლახან სერია A-ში. იმედია, მალე თქვენს წარმატებებზე უფრო მეტის თქმა შემეძლება...

— ბოლო წლებში პრესასთან ყველანაირი ურთიერთობა გაწყვეტილი გქონდათ. რატომ დაარღვიეთ სიჩუმე და რა იყო ამ დუმილის მიზეზი?

— რა გითხრათ... ყველაფერს აქვს დასაწყისი და დასასრული. არაფერი გრძელდება უსასრულოდ და არც ჩემი პროტესტი იქნებოდა სამუდამო...

— პროტესტი ჟურნალისტების მიმართ?

— პროტესტი ყველას მიმართ, საკუთარი თავის ჩათვლით. თითოეული ადამიანის ცხოვრებაში დგება მომენტი, როცა კარგად უნდა დაფიქრდეს და გააანალიზოს წარსული და გადაწყვიტოს, როგორი უნდა იყოს მომავალი; დაძლიოს წყენა და თავისი ფუნქცია იპოვოს.

— შეძელით ამის დაძლევა?

— მეტ-ნაკლებად. რაც მთავარია, მივხვდი, რომ ამ ქვეყანაზე ჩემი ძირითადი დანიშნულება ნაკლებად პრივილეგირებული და გაჭირვებული ხალხის დახმარებაა. ანუ ვიდგე იმათ გვერდით, ვისაც ეს ძალიან სჭირდება.

— რას ნიშნავს თქვენთვის FAO-ს ელჩობა?

— FAO არის ორგანიზაცია, რომელიც მსოფლიოში შიმშილის დაძლევის პროგრამას ახორციელებს. სწორედ ეს არის ჩემი მიზანიც — დავეხმარო, რაც შეიძლება, მეტ ადამიანს. სწორედ ამიტომ, უდიდესი პატივია ჩემთვის, ამ ორგანიზაციის მშვიდობისმყოფელი ელჩი ვიყო იტალიაში.

— კიდევ გეგმავთ FAO-სთან და ევროპულ საფეხბურთო ლიგებთან ერთად მსგავსი ამხანაგური მატჩების ჩატარებას?

— რა თქმა უნდა, მხოლოდ ერთი საქველმოქმედო მატჩით შეუძლებელია ყველა გაჭირვებულის დახმარება. მაქსიმალურად ვეცდებით, საქველმოქმედო შეხვედრებს რეგულარული სახე მივცეთ.

— ცოტა ხნის წინ ფლორენციაში სხვა სახის საქველმოქმედო მატჩს გაუკეთეთ ორგანიზება, რომელიც „ფიორენტინას“ ყოფილ ფეხბურთელს და თქვენს მეგობარს, მძიმე სენით დაავადებულ სტეფანო ბორგონოვოს მიეძღვნა...

— მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო „ფიორენტინას“ და „მილანის“ პრეზიდენტებს დახმარებისთვის, მათ გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ასეთი გრანდიოზული სალამოს მოწყობა. ვემადლიერები საფეხბურთო სამყაროს სხვა წარმომადგენლებსაც, რომლებიც ამ შეხვედრას დაესწრნენ, ყველა ფეხბურთელს, ვინც მონაწილეობა მიიღო მატჩში და, რაღა თქმა უნდა, ათასობით გულშემატკივარს თანადგომისთვის.

სამწუხაროდ, ჯერ არაფერი ვიცით ამ დაავადების გამომწვევი მიზეზების შესახებ და ასეთი მატჩების ჩატარება აუცილებელია, რადგან დაავადების გამოკვლევას დიდი თანხა სჭირდება. ასევე მნიშვნელოვანია, გავაგებინოთ საზოგადოებას, რომ ეს საფრთხე ყველას გვემუქრება.

— სტეფანო ბორგონოვოს კარგად იცნობთ. როდის გაიგეთ მისი ავადმყოფობის შესახებ?

— 20 წლის რომ ვიყავი, მე და სტეფანო „ფიორენტინაში“ და ნაკრებში ერთად ვთამაშობდით. ჩვენ მეგობრები ვიყავით, მინდორზე ერთად არაჩვეულებრივ რამეებს ვაკეთებდით. შემდეგ ჩვენი გზები გაიყო — მე „იუვენტუსში“ გადავედი. ბოლო დროს მის შესახებ არაფერი ვიცოდი და მოულოდნელად მისი მეუღლისგან შევიტყვე ავადმყოფობის ამბავი. წარმოუდგენელია იმ ტკივილის გადმოცემა, რაც განვიცადე. სტეფანო ბორგონოვო ჩვენი დროის გმირია, მან თავისი ტანჯვა და ტკივილი საზოგადოებისთვის თვალსაჩინო გახადა. ამით კი, პირველ რიგში დაგვანახა, რომ აუცილებელია, კვლევა გაგრძელდეს, რათა ვიცოდეთ, რატომ ავადდებიან ფეხბურთელები და როგორ შეიძლება მათი მკურნალობა.

— თქვენც ყოფილი ფეხბურთელი ხართ. გეშინიათ ამ დაავადების?

— რა თქმა უნდა. ვფიქრობ, ყველა ყოფილ ფეხბურთელს უნდა ეშინოდეს. ძალიან ბევრი ფაქტი გამოვლინდა და ყველა დაავადებული ტანჯვით გარდაიცვალა. ყველაზე დიდი საშინელება ისაა, რომ ეს ავადმყოფობა სიცოცხლის ბოლო წამამდე საღ გონებაზე ტოვებს ავადმყოფს. იმედი მაქვს, ექიმები და მეცნიერები მალე გაგვცემენ დაგროვილ კითხვებზე პასუხს.

— იტალიის ჩემპიონატზეც ვთქვათ: ძალიან გვაინტერესებს ბაჯოს შეფასებები...

— როცა გადავწყვიტე ჟურნალისტებთან შეხვედრაზე უარი აღარ მეთქვა, ჩემს თავს დავპირდი, რომ ყველა კითხვაზე გიპასუხებდით... ცხადია, რაშიც კომპეტენტური ვარ, თორემ, მაგალითად, ქართულ ფეხბურთზე რომ ბევრი ვერ გითხარით, ეს მეპატიება...

— კეთილი. როგორ შეაფასებთ წლევანდელ სეზონს?

— რთული ჩემპიონატია. ალბათ ცოტა გამორჩეულიც, რადგან დიდი ხნის შემდეგ სატურნირო ცხრილის სათავეში საინტერესო გუნდები არიან.







# ლიპი, ულივიერი, კაპელო, საკი, ტრაპატონი: რომელ მწვრთნელს მიტყეპაავდა ცხენისკუდა?

— რომელი გუნდი მოგწონთ განსაკუთრებულად?

— „უდინეზე" კარგ ფეხბურთს აჩვენებს. მწვრთნელებიდან ძალიან მომწონს ვალტერ ძენგა — უდიდეს სამუშაოს ასრულებს „კატანიაში".

— თქვენი აზრით, ვინ გახდება ჩემპიონი?

— ვერ გეტყვით. ყოველთვის რთული იყო ასეთი პროგნოზის გაკეთება. თუმცა ალბათ მაინც რომელიმე გრანდი გაიმარჯვებს.

— „რომა" და „იუვენტუსი" კრიზისში არიან?

— სამწუხაროდ, ჩემი აზრი ამ შემთხვევაში ვერც ერთს უშველის... ფაქტები მეტყველებენ ყველაფერზე — პასუხს სატურნირო ცხრილი გაგვცემს.

— ბოლო დროს იტალიაში ბევრს ლაპარაკობენ ფრანჩესკო ტოტიზე. თვლიან, რომ მისი კარიერა დასასრულს მიუახლოვდა...

— ფრანჩესკოს მძიმე ტრავმა ჰქონდა და რთულია, ამის შემდეგ ფორმა უცებ აღიდგინო. თანაც ასაკითაც აღარ არის პატარა. თუმცა მთავარი მონდომებაა და თუ მას უნდა კარიერის გაგრძელება, ამას აუცილებლად შეძლებს. ბევრი შემთხვევა გვაქვს, როდესაც ფეხბურთელები 40 წლის ასაკშიც მშვენივრად თამაშობენ.

— ალესანდრო დელ პიერო თქვენს ტყუპისცალს ჰგავს: იგივე ამპლუა, იგივე სტილი, ალნაგობა, იგივე წარმომავლობა რეგიონ ვენეტოდან, იგივე გუნდი, ტიფოზების უსაზღვრო სიყვარული... ტრავმებიც კი თქვენსავით ხშირად ჰქონდა. ის დღემდე თამაშობს ფეხბურთს და ხომ არ გშურთ მისი?

— მე ყოველთვის კარგი ურთიერთობა მქონდა ალექსთან. როცა ის „იუვეში" მოვიდა, ძალიან ახალგაზრდა იყო და ტიფოზებმაც და გუნდმაც დიდი სიყვარულით მიიღეს. არასდროს მიგრძვნია თავი მის კონკურენტად — პირიქით, ჩემს გამოცდილებას სიამოვნებით ვუზიარებდი. „სკუარდა აძურაშიც" ხშირად სცადეს ჩვენი დაპირისპირება — იგონებდნენ ათას სისულელეს, თითქოს ორივეს ადგილი ერთად არ იყო მინდორზე და ასე შემდეგ. მაგრამ ამის მიუხედავად, ჩემსა და ალესანდროს შორის არასდროს მომხდარა დაპირისპირება.

— თქვენი ყოფილი გუნდებიდან რომელს იხსენებთ ყველაზე დიდი სიყვარულით?

— მიჭირს გამორჩევა, თითოეული მათგანი ჩემი ცხოვრების ნაწილია და თითოეულთან მაკავშირებს დიდი მოგონებები და სიყვარული.

— ახლა რომელ გუნდს გულშემატკივრობთ?

— იტალიაში ყველა გუნდს ერთნაირად ვგულშემატკივრობ. მე იტალიური ფეხბურთის მოტრფიალე ვარ და მინდა, რომ ყველა იტალიურმა გუნდმა დიდ წარმატებას მიაღწიოს მსოფლიოში.

— იტალიის ფარგლებს გარეთ თუ ქომაგობთ რომელიმე გუნდს?

— უკვე დიდი ხანია, არგენტინულ „ბოკას" ვგულშემატკივრობ.

— ძალიან საინტერესოა, როგორ გახდით „ბოკას" ტიფოზი...

— ეს მართლა ძალიან საინტერესო ისტორიაა. ერთ საღამოს სახლში მეგობართან ერთად ფეხბურთის ყურება მოგვინდა და რადგან ტელევიზორში იმ დროს მხოლოდ არგენტინის ჩემპიონატს აჩვენებდნენ, ჩვენც ჩავუჯექით. „ბოკა" თამაშობდა.

სტადიონზე არჩვეულებრივი ატმოსფერო იყო, „ბოკას" ტიფოზები მთელი 90 წუთი მღეროდნენ, არანაირი ძალადობა, მხოლოდ მხიარული შეძახილები და ეს მაშინ, როდესაც მათი გუნდი 0:4 აგებდა. თავის მხრივ, ფეხბურთელებმაც ემოციურად გადაუხადეს მადლობა გულშემატკივარს და მარცხის მიუხედავად, თავაწეულებმა დატოვეს მინდორი. ამ სიტუაციამ ძალიან მომხიბლა. ასევე გუნდის ერთსულოვნებამ და მარცხის ღირსეულად მიღებამ. იმ დღეს დავრწმუნდი, რომ ასეთი გუნდი და ტიფოზები ნამდვილად იმსახურებენ ქომაგობას და მეც მათ რიცხვს შევუერთდი.

— არგენტინული ფეხბურთი ახსენეთ და, არ შეიძლება, არ გკითხოთ დიეგო მარადონაზე...

— დიეგო დიდი ფეხბურთელი იყო და ბობოქარი ცხოვრების სტილის მიუხედავად, დიდი გულის პატრონია. ამას წინათ შემთხვევით აეროპორტში შევხვდი და ჩემი შვილებისთვის ავტოგრაფი ვთხოვე. იმ დღეს ბევრი ვისაუბრეთ, ბევრ თემას შევეხეთ — ძალიან გაიხსნა და გული გადამიშალა. ჩემი აზრით, დიეგომ თავი შორს უნდა დაიჭიროს იმ ადამიანებისგან, ვინც მას მავნე ჩვევებისკენ უბიძგებს. სირთულეების დაძლევა დიდი ძალისხმევით და საყვარელი ადამიანების გვერდში დგომით შეიძლება.

— ძველებიდან რომელ ფეხბურთელებს გამოარჩევთ?

— მარადონას და ვან ბასტენს.

— ახლანდელებიდან?

— ლეო მესი ძალიან მომწონს — ჩემს თავს მაგონებს. ასევე რონალდინიო, კაკა, ტოტი, იბრაჰიმოვიჩი, კრიშტიანუ რონალდუ... არ მინდა, კლასიფიკაცია გავაკეთო და გული დავწყვიტო ვინმეს.

— თქვენსავით უამრავი მძიმე ტრავმა გადაიტანა რონალდომ. როგორ ფიქრობთ, შეძლებს ის ფეხბურთში ძველებურად დაბრუნებას?

— მე ამ მხრივ მართლაც არ გამიმართლა — მუხლის აბსოლუტურად ყველა ტრავმა გადავიტანე, რაც კი შეიძლება, ფეხბურთელს დაემართოს. ახლაც ტანში მზარავს, როცა ის საშინელი ტკივილი მახსენდება. მახსოვს, გამოჯანმრთელების შემდეგ ფეხბურთს რომ ვუბრუნდებოდი, თამაშის შემდეგ სახლში მანქანით მიწევდა დაბრუნება. ერთსაათიანი მგზავრობის მერე თითქმის ნახევარი საათი მჭირდებოდა მანქანიდან გადმოსასვლელად. ფეხებს ვეღარ ვიმორჩილებდი...

რაც შეეხება რონალდოს, მართალი გითხრათ, კარგად არ ვიცი მისი სიტუაცია, თუმცა მგონია, რომ რონალდოს პრობლემა უფრო საკუთარ თავთან გაურკვევლობას უკავშირდება და არა ტრავმებს.

— საინტერესოა, ახლანდელი ფეხბურთი უფრო მოგწონთ თუ თქვენი დროის?

— ფეხბურთი ახლა უფრო სწრაფი და რთულია, ვიდრე ეს 90-იან წლებში იყო. ისევე, როგორც 90-იანი წლების ფეხბურთი უფრო სწრაფი იყო 80-იან წლებთან შედარებით... ეს ევოლუციაა, ფეხბურთი ვითარდება, ისე, როგორც წინ მიდის მთელი მსოფლიო. კარგ ფეხბურთელს უნდა შეეძლოს ცვლილებებისთვის ფეხის აყოლება.

— 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატს თუ უყურეთ?

— რა თქმა უნდა. რატომღაც თავიდანვე ვგრძნობდი, რომ ეს ჩემპიონატი მნიშვნელოვანი იქნებოდა „სკუადრა აძურასთვის". გული მეუბნებოდა, რომ გაიმარჯვებდნენ. ძალიან გამიხარდა. ფეხბურთს აღარ ვთამაშობ, მაგრამ მე იტალიელი ვარ და ჩემს ნაკრებს ყოველთვის ვუგულშემატკივრებ — არა აქვს მნიშვნელობა, ვინ იქნება მწვრთნელი, ან რომელი ფეხბურთელი ითამაშებს გუნდში. ჩემთვის მთავარი იტალიის ნაკრებია.

— რატომღაც ისე მოხდა, რომ ყოველთვის დაძაბული ურთიერთობა გქონდათ მწვრთნელებთან — მარჩელო ლიპი, რენცო ულივიერი, ფაბიო კაპელო, არიგო საკი, ჯოვანი ტრაპატონი... რომელი ერთი გავიხსენოთ... რა იყო ამის მიზეზი?

— რომ იცოდეთ, ეს კითხვა მეც რამდენჯერ დავუსვი საკუთარ თავს... პასუხი კი მხოლოდ ერთია: მე ჩემი ხალხის უდიდესი სიყვარული მქონდა, რაც ბევრს არ მოსწონდა. მათი აზრით, პოპულარობას ვპარავდი, მთავარი მოქმედი პირი მათ ნაცვლად მე ვხდებოდი და ამის გამო ჩემს დასჯას ცდილობდნენ. ასე ვთქვათ, ტიფოზების სიყვარულის გამო სამაგიეროს მიხდიდნენ.

— და ამ ადამიანებმა მიაღწიეს თავისას?

— გააჩნია, რა კუთხით შევხედავთ. დასჯით ალბათ მაინც დამსაჯეს, განტევების ვაცად ყოველთვის მე მაცხადებდნენ, თუმცა მთავარი ვერ წამართვეს — ჩემი უძვირფასესი ხალხის სიყვარული. გაივლის დრო, ჩაივლის წლები, განაჩენს კი მხოლოდ ხალხი გამოიტანს.

— კი მაგრამ, არ გგონიათ, რომ შეიძლება თქვენც რამე შეგეშალათ მათ მიმართ?

— რა თქმა უნდა, შემეშალა! ალბათ თავის დროზე რომელიმე მათგანი მაგრად უნდა მიმეტყეპა, რათა ერთხელ და სამუდამოდ ჭკუა მესწავლებინა მათთვის. ყოველთვის ძალიან დამთმობი ვიყავი მათ მიმართ, ვინც ამას არ იმსახურებდა, სწორედ ეს იყო ჩემი შეცდომა!

— კიდევ არის რამე, რასაც ვერ პატიობთ საკუთარ თავს?

— 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალი. არ ვიცი, რამდენად არის ჩემი ბრალი ფინალში მარცხი, მაგრამ მე მაინც ვერ ვივიწყებ იმ პენალტს... თავადაც არ ვიცი, რას, მაგრამ მაინც ვერ ვპატიობ საკუთარ თავს. ის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალი ღამის კოშმარად მექცა. იმედია, ოდესმე დავძლევ ამ პრობლემას.

— რობერტო, სამი წლის წინ მესამე შვილი შეგეძინათ — რატომ გადაწყვიტეთ ასე გვიან ასაკში ბავშვის ყოლა?

— ჩემი პროფესიის გამო ხშირად მოგზაურობა მიწევდა და ოჯახს სათანადო დროს ვერ ვუთმობდი. მყავს არაჩვეულებრივი მეუღლე ანდრეინა, რომელიც ისევე ძლიერ მიყვარს, როგორც 15 წლის ასაკში, როცა პირველად შევხვდით ერთმანეთს. როცა ფეხბურთს თავი დავანებე, მე და ანდრეინამ გადავწყვიტეთ, ჩვენი თავისთვის საჩუქარი გაგვეკეთებინა და ასე გაჩნდა ლეონარდო. ის ყურადღება რაც ვალენტინას და მატიასს დავაკელი, ლეონარდოსთან ვინაზღაურებ. შვილები ხომ ამქვეყნად ყველაზე დიდი სიმდიდრეა...

მგონი, საკმარისად ვისაუბრეთ, არა?

— ერთიც და დავასრულოთ: თუ ისურვებდით ფეხბურთში დაბრუნებას და როგორ?

— ამის დიდი სურვილი მაქვს. ძალიან მინდა, პატარა ფეხბურთელების აღზრდაში მივიღო მონაწილეობა. მე დიდი საფეხბურთო გამოცდილება მაქვს და მინდა, ეს მათ გავუზიარო; ვასწავლო, არ გაიმეორონ ის შეცდომები, რაც მე დავუშვი... ცხოვრებაში ყველაფერს თავისი დრო აქვს და მჯერა, ამ იდეის განხორციელების დროც დამიდგება...












ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვას წარმოგიდგენთ VEGA SLOT

# ჩემპიონთა ლიგა 2008-2009. ჯგუფური ეტაპი. IV ტური

## E ჯგუფი

# სულის გაღვიძება

**ოლბორგი — ვილიარეალი**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ოლბორგი:** ზაზა, პედერსენი, იაკობსენი, ოლფერსი, ბიოგელუნდი, დუე აუგუსტინუსენი, იოჰანსონი, კრისტენსენი, კურტი, კაკა

**ვილიარეალი:** ლოპესი, ანხელი, გონსალო, გოდინი, კაპდევილა, კასორლა, სენა, ბრუნო, პირესი, როსი, იორენტე

**მსაჯი:** ბერტრან ლეიეკი (საფრანგეთი)

**სელტიკი — მანჩესტერი**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**სელტიკი:** ბორუცი, ოდი, ლოვენსი, მაკმანუსი, ნეილორი, ნაკამურა, ბრაუნი, კოლდუელი, რობსონი, მაკგიდი, მაკდონალდი

**მანჩესტერი:** ვან დერ სარი, ნევილი, ფერდინანდი, ვიდიჩი, ევრა, რონალდუ, ფლეტჩერი, კარიკი, ნანი, ბერბატოვი, რუნი

**მსაჯი:** ტომ ჰენინგ იოვრებიო (ნორვეგია)



ვან დერ სარი



გორდონ სტრაჩანი

**„სელტიკმა“** ორი წლის წინანდელი მებრძოლი სული უნდა გაალვიძოს და მოიგოს „მანჩესტერთან“, რათა მერვედფინალში გასვლის შანსი შეინარჩუნოს.

2006-ში „სელტიკს“ შუნსუკე ნაკამურას საჯარიმო დარტყმამ „მანჩესტერი“ 1:0 დაამარცხებინა და გუნდი ჯგუფიდან, ისტორიაში პირველად, გავიდა.

გლაზგოელების საქმე ამჯერად ჭაკადაა. სამი ტურის შემდეგ ერთი ქულა აქვთ. ორი კვირის წინ „ოლდ ტრეფორდზე“ „სელტიკმა“ 0:3 წააგო. დიმიტარ ბერბატოვმა დუბლი შეასრულა და ერთიც უეინ რუნიმ გაიტანა.

დღევანდელ მატჩში გლაზგოელებს გამარჯვება მერვედფინალის შანსს გაუცოცხლებს, მაგრამ საქმე ისაა, რომ ჯგუფურ ეტაპზე ჯერ ერთი გოლიც არ გაუტანიათ, „მანჩესტერს“ კი არ გაუშვია. სამაგიეროდ, „სელტიკმა“ ევროთასებზე ბოლო თერთმეტ საშინაო მატჩში მხოლოდ ერთხელ წააგო.

„მანჩესტერის“ დაცვა გასულ შაბათს „ჰალმა“ შეარყია, რომელმაც ალექს ფერგიუსონის გუნდთან მართალია, წააგო, მაგრამ სამი გოლი გაუტანა.

„ეს კარგი გაკვეთილი იყო ჩვენთვის და საქმის ბოლომდე მშვიდად მიყვანა უნდა ვისწავლოთ — თქვა ედვინ ვან დერ საარმა — არ შეიძლება, მეორე ტაიმის ნახევარში გაჩერება, როცა 4:1-ს იგებ და მომდევნო მატჩზე ფიქრის დაწყება“.

„სელტიკმა“ ჩემპიონატში სტუმრად „ჰართსს“ 0:1 სძლია შონ მელონისა და გარი კოლდუელის გოლებით. ამის მერე პოლ ჰარტლიმ პენალტი ვერ გაიტანა.

სელტიკელთა მწვრთნელმა გორდონ სტრაჩანმა უარყო მოსაზრება იმის თაობაზე, რომ შოტლანდიის პრემიერლიგა ინგლისისას ძალიან ჩამორჩება: „ჩვენ „ოლდ ტრეფორდზე“ ისე კარგად ვერ ვითამაშეთ, როგორც გვსურდა, მაგრამ „მანჩესტერი“ მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო კლუბია. მაგალითად, ვერავინ იტყვის, რომ სერია A პრემიერლიგაზე სუსტია. „ვესტ ჰემი“ სტუმრად „მანჩესტერთან“ 2:0 დამარცხდა, მაგრამ ალექს ფერგიუსონის გუნდს 6:0 მაინც უნდა მოეგო: „ვესტ ბრომვიჩმა“ 4:0 წააგო, ჩვენ კი 3:0 დავმარცხდით, მაგრამ ამ სამიდან ორი მანჩესტერელებმა თამაგარე მდგომარეობიდან გაგვიტანეს. ასე რომ, შოტლანდიისა და ინგლისის პრემიერლიგებს შორის არც ისე დიდი სხვაობაა, როგორც ზოგიერთი ამბობს“.

„მანჩესტერ იუნაიტედს“ ევროთასებზე სტუმრად შვიდი მატჩი არ წაუგია, „სელტიკმა“ კი ინგლისელებს შვიდჯერ უმასპინძლა. ოთხი მოიგო, ორი ფრედ დაასრულა და ერთხელ, 1983 წელს, „ნოტინგემ ფორესტთან“ წააგო.

„ვილიარეალთან“ სტუმრად 6:3-ის მერე „ოლბორგის“ მწვრთნელი ბრიუს რიოკმი გადადგა და ახალ წლამდე გუნდის თავკაცი ალან კუნი იქნება.

„ოლბორგი“ გასულ უქმეებზე „ოდენსეს“ დაუზავდა (1:1), „ვილიარეალმა“ კი ჯუზეპე როსის დუბლითა და კასორლას და ალტიდორეს გოლებით გასვლაზე „ბილბაო“ დაამარცხა — 4:1.

„ვილიარეალი“ აქამდე ერთხელ ეწვია დანიას და „ოდენსეს“ ინტერტოტოზე 3:0 სძლია.

„ოლბორგმა“ ორჯერ უმასპინძლა ესპანურ კლუბებს და ორჯერვე წააგო — 0:5 „დეპორტივოსთან: და 1:2 „ხეტაფესთან“.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 3 | 2 | 1 | 0 | 6:0 | 7 |
| ვილიარეალი | 3 | 2 | 1 | 0 | 7:3 | 7 |
| სელტიკი | 3 | 0 | 1 | 2 | 0:4 | 1 |
| ოლბორგი | 3 | 0 | 1 | 2 | 3:9 | 1 |

## F ჯგუფი

# ფიორენტინა ვერდერიდან ბაიერნამდე

**ფიორენტინა — ბაიერნი**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ფიორენტინა:** ფრეი, გამბერინი, კროლდრუპი, პასკუალი, ძაური, მელუ, დონადელი, ალმირონი, სანტანა, მუტუ, ჟილარდინო

**ბაიერნი:** რენზინგი, ლელი, ლუსიუ, დემიკელისი, ზე რობერტუ, ოტლი, ვან ბომელი, შვაინშტაიგერი, ბოროვსკი, რიბერი, კლოზე

**მსაჯი:** ალბერტო უნდიანო მალიენკო (ესპანეთი)

**ლიონი — სტიაუა**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ლიონი:** ვერკუტრი, გასამა, კრისი, ბუმსონგი, გროსო, ტულალანი, მაკუნი, ჟუნინიო (ან კალსტრიომი), კეიტა, ბენზემა, ფრედი

**სტიაუა:** საპატა, ოგარარუ, გიოანი, გიონეა, გოლანსკი, ლოვინი, რედოი, ნიკოლაი, სტანკუ, სემედუ, არტურო

**მსაჯი:** მანუელ მეხუტო გონსალესი (ესპანეთი)

**ორი კვირის** წინ ბუქარესტში მოგების (5:3) მერე ჯგუფიდან „ლიონის“ გასვლის შანსი გაიზარდა. ფრანგები „სტიაუასთან“ ორბურთიანი სხვაობით აგებდნენ, მაგრამ ხუთის გატანა მოახერხეს და სამი ქულა მიითვალეს. „ლიონი“ ახლა „ბაიერნს“ ორი ქულითღა ჩამორჩება, „სტიაუა“ კი ბოლო ადგილზეა.

ფრანგებთან საშინაო მარცხის შემდეგ რუმინული კლუბის მწვრთნელ მარიუშ ლეკატუში გადადგა და თქვა: „სამწუხაროდ, ჩემს ხელში გუნდმა უფრო მაღალი ხარისხის ფეხბურთი ვერ ითამაშა“. ლეკატუში დორინელ მუნტიანუმ შეცვალა და ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

„ლიონი“ და „სტიაუა“ ჩემპიონთა ლიგაში ორი წლის წინ ჯგუფურ ეტაპზე შეხვდნენ. საფრანგეთში 1:1 ითამაშეს, ბუქარესტში კი ფრანგებმა 3:0 მოიგეს. „ლიონი“ რუმინულ კლუბს მანამდე ერთხელ შეხვდა და სტუმრად „რაპიდს“ 2:1 სძლია.

რაც შეეხება „სტიაუას“, ზემოხსენებულ 1:1-მდე საფრანგეთში შვიდიდან შვიდი მატჩი ჰქონდა წაგებული.

გასულ შაბათს „ლიონმა“ შინ ქარიმ ბენზემას და ჟუნინიოს გოლებით „ლე მანს“ მოუგო, „სტიაუამ“ კი ბუქარესტულ დერბიში „დინამოსთან“ 1:2 წააგო.

ჯგუფის ლიდერი და დაუმარცხებელი „ბაიერნი“ ლუკა ტონის ყოფილ გუნდს „ფიორენტინას“ ესტუმრება, რომელიც ორი კვირის წინ შინ 3:0 დაამარცხა. „ბაიერნი“ მოგების შემთხვევაში მერვედფინალს გაინაღდებს.

ბოლო 18 წლის განმავლობაში „ფიორენტინას“ ფლორენციაში გერმანულ კლუბთან არ უთამაშია. ბოლოს უეფას თასზე „ვერდერს“ (1989-90) უმასპინძლა და უგოლოდ დაუზავდა. მანამდე (1977-78) „შალკესთან“ 0:3 წააგო, ხოლო „ცვიკაუსთან“ (1975-76) — 0:1.

ბოლო ექვს სეზონში „ბაიერნი“ მეხუთედ მოხვდა ჯგუფში იტალიურ კლუბთან. 2006-07 წლებში „ინტერს“ სტუმრად 2:0 მოუგო და მერე „მილანთან“ 2:2 ფრე გაახერხა.

„ბაიერნმა“ იტალიაში 11-ჯერ ითამაშა და მხოლოდ სამჯერ იმარჯვა.

„ფიორენტინამ“ კვირას „სიენასთან“ სტუმრად 1:0 წააგო. „ბაიერნმა“ კი შინ „არმინიას“ 3:2 მოუგო კლოზეს, რიბერის და პოდოლსკის გოლებით. იურგენ კლინსმანის გუნდმა ბოლო ხუთი მატჩი (ყველა ტურნირში) ზედიზედ მოიგო.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 3 | 2 | 1 | 0 | 5:1 | 7 |
| ლიონი | 3 | 1 | 2 | 0 | 8:6 | 5 |
| ფიორენტინა | 3 | 0 | 2 | 1 | 2:5 | 2 |
| სტიაუა | 3 | 0 | 1 | 2 | 3:6 | 1 |



ლუკა ტონი

# ჩემპიონთა ლიგა 2008-2009. ჯგუფური ეტაპი. IV ტური

## G ჯგუფი



კიევის „დინამოს" იური სიომინის ხელი დაეტყო

# თოფი გაბრაზებულია

**არსენალი — ფენერბაჰჩე**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**არსენალი:** ალმუნია, გალასი, ტურე, სილვესტრი, კლიში, უოლკოტი, ფაბრეგასი, დენილსონი, სონგი, ადებაიორი, ვან პერსი

**ფენერბაჰჩე:** ვოლკან დემირელი, გიოქმანი, ლუგანო, ედუ, რობერტო კარლოსი, სემიჰი, სელჯუქი, მალდონადო, ულური, დეივიდი, გუისა

**მსაჯი:** რობერტო როზეტი (იტალია)

**დინამო — პორტუ**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**დინამო:** ბოგუში, ბეტაო, დიაქატე, მიხალიკი, ელ ქადური, ვუკოევიჩი, გიოანე, ალიევი, ერიომენკო, ბანგურა, მილევსკი

**პორტუ:** ჰელტონი, ბრუნუ ალვეში, პედრუ ემანუელი, სტეპანოვი, ბენიტესი, ლუჩო, როდრიგესი, რაულ მეირელეში, სექტიუი, ლისანდრო, პულკი

**მსაჯი:** კონრად პლაუცი (ავსტრია)

**ერთქულიანი** ბოლოადგილოსანი „ფენერბაჰჩე" გაბრაზებულ „არსენალს" ესტუმრება, რომელთანაც ორი კვირის წინ სტამბოლში 2:5 წააგო. „არსენალი" და არსენ ვენგერი გაბრაზებულნი იმიტომ არიან, რომ პრემიერლიგაში ბოლო ორ ტურში ქულაზე მეტი ვერ აიღეს. „ტოტენჰემთან" დერბიში 4:2 ვერ შეინარჩუნეს და ბოლო წუთებზე ორი გოლი გაუშვეს. მერე „სტოკთან" სტუმრად 2:1 დამარცხდნენ.

2004 წლის აპრილიდან „მეთოფეებს" შინ არ წაუგიათ. „ფენერბაჰჩემ" კი ჩემპიონთა ლიგაში ბოლოს იმავე წლის ნოემბერში მოიგო. მას შემდეგ „ფენერმა" 9 გასვლით მატჩში შვიდი წააგო და ორჯერ ფრე გაახერხა.

„არსენალმა" კი ევროთასებზე ბოლო ათ საშინაო შეხვედრაში ექვსი მოიგო და ოთხჯერ სტუმრებს დაუზავდა.

„არსენალი" და „ფენერბაჰჩე" ერთმანეთს თასების მფლობელთა თასზე 1979-80 წლების სეზონში შეხვდნენ. ლონდონში „მეთოფეებმა" 2:0 მოიგეს, სტამბოლში კი თურქებს უგოლოდ გაეყარნენ.

„ფენერი" ინგლისს შვიდჯერ ეწვია. ერთხელ მოიგო, ერთხელ ფრე ითამაშა და დანარჩენი წააგო. სტამბოლელთა ერთადერთი გამარჯვება 1996 წლისაა, როცა „ოლდ ტრეფორდზე" „მანჩესტერს" ელვირ ბოლიჩის გოლით 1:0 სძლიეს.

„არსენალმა" პრემიერლიგაში „სტოკთან" 2:1 წააგო და ამ მატჩში გაელ კლიშიმ გოლი ბოლო წუთზე გაიტანა. „ფენერმა" ჩემპიონატში სტუმრად „ესკიშეჰისთან" 2:2 ითამაშა. ლუის არაგონესის გუნდი ორჯერ იგებდა ალექსის დუბლით, მაგრამ ბოლოს ქულალა გამორჩა.

იური სიომინის ხელში მოფერიანებული კიევის „დინამო" „პორტუს" დაუხვდება. ორი კვირის წინ პორტუგალიაში უკრაინულმა კლუბმა ალიევის გოლით იმარჯვა და დღესაც თუ მოიგებს, მერვედფინალისკენ დიდ ნაბიჯს გადადგამს. „დინამომ" ჯგუფიდან ბოლოს 1999-2000 წლების სეზონში გააღწია და რვა წლის მერე შანსი ისევ აქვს.

იური სიომინის მწვრთნელობა გუნდს აშკარად დაეტყო. შინ „არსენალთან" ფრე ითამაშა, მერე სტამბოლში „ფენერს" უგოლოდ გაეყარა და პორტუში მოგებამ „დინამო" ჯგუფში მეორე ადგილზე გადაიყვანა.

კიეველები პორტუგალიურ კლუბებს ცხრაჯერ შეხვდნენ. სამჯერ მოუგეს და ექვსჯერ დამარცხდნენ. შარშანდელ სეზონში „დინამომ" ლისაბონის „სპორტინგთან" ჯგუფში ორივე მატჩი წააგო — შინ 1:2 და სტუმრად 0:3.

„დინამო" და „პორტუ" ერთმანეთს 1986-87 წლებში შეხვდნენ. პორტუგალიურმა კლუბმა ორივე მატჩი ერთნაირი ანგარიშით, 2:1 მოიგო.

თავის მხრივ, „პორტუ" უკრაინულ კლუბს „დინამომდე" ორჯერ დაეჯახა. 1983-84-ში „შახტარს" შინ 3:2 სძლია და დონეცკში 1:2 ითამაშა.

**როман თურქია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 3 | 2 | 1 | 0 | 10:3 | 7 |
| დინამო | 3 | 1 | 2 | 0 | 2:1 | 5 |
| პორტუ | 3 | 1 | 0 | 2 | 3:6 | 3 |
| ფენერბაჰჩე | 3 | 0 | 1 | 2 | 3:8 | 1 |

## H ჯგუფი

# კანავაროს შურისძიება

**ბატე — ზენიტი**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ბატე:** ვერემკო, ხაგუში, სოსნოვსკი, კაზანცევი, იურევიჩი, სტასევიჩი, ნეხაიჩიკი, ლიხტაროვიჩი, კრივეცი, ბლიზნიუკი, როდიონოვი

**ზენიტი:** მალაფეევი, კრიჟანაცი, ანიუკოვი, პიუიგრენიე, ზირიანოვი, დენისოვი, შირლი, ტიმოშჩუკი, დანი, თეკე, არშავინი

**მსაჯი:** სტეფან ლანუა (საფრანგეთი)

**რეალი — იუვენტუსი**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**რეალი:** კასილიასი, სერხიო რამოსი, მეცელდერი, კანავარო, ჰაინცე, გაგო, რობენი, ვან დერ ვაარტი, სნეიდერი, რაული (ან ვან ნისტელროოი), იგუაინი

**იუვენტუსი:** მანინგერი, მელბერგი, ლეგროტალიე, კიელინი, მოლინარო, მარკიონი, ტიაგუ, სისოკო, ნედვედი, ამაური, დელ პიერო

**მსაჯი:** პიეტერ ვინკი (ჰოლანდია)

**ფაბიო კანავარომ** თქვა, რომ მადრიდის „რეალმა" ტურინში მარცხისთვის დღეს რევანში უნდა აიღოს.

მსოფლიოს ჩემპიონმა იტალიელმა მცველმა, რომელიც „იუვედან" „რეალში" ორი წლის წინ გადავიდა, ორი კვირის წინ ტურინში იქაური ფანების სტვენა მოისმინა. მაშინ „იუვემ" ალესანდრო დელ პიეროს ფანტასტიკური გოლით და ამაურის თავურით „სამეფო კლუბი" 2:1 დაამარცხა.

„წაგების უფლება არ გვაქვს — თქვა კანავარომ პრიმერაში „ალმერიასთან" ფრის შემდეგ — ჩვენ ნებისმიერი ხერხით უნდა მოვიგოთ და ჯგუფში პირველი ადგილით მერვედფინალში გავიდეთ".

სამი ტურის შემდეგ ჯგუფს „იუვენტუსი" ლიდერობს. „რეალმა" გასულ ხუთშაბათს სამეფო თასზე „რეალ უნიონთან" 3:2 წააგო, მერე კი ჩემპიონატში სტუმრად „ალმერიას" ვერ მოუგო — 1:1.

ორი მოუგებელი მატჩის შემდეგ ბერნდ შუსტერის გუნდი „იუვენტუსთან" გამარჯვებას ელის. „ალმერიასთან" პეპე დაშავდა და მის ნაცვლად დაცვის ცენტრში ალბათ კრისტოფ მეცელდერი ითამაშებს, რუუდ ვან ნისტელროოის თამაშიც საეჭვოა, რადგან ტურინულ მატჩში მუხლი იტკინა და შაბათის ტურის მატჩიც გამოტოვა.

„იუვემ" „რეალთან" გამარჯვების შემდეგ სერია A-ში მიჯრით სამ ტურში იმარჯვა, ხოლო „სანტიაგო ბერნაბეუს" მესამედ ეწვევა, სადაც წინა ორი სტუმრობა მარცხით დასრულა. „ბებერ ქალბატონს" ვერ დაეხმარებიან დარიო კნეჟევიჩი, ჯონათან ზებინა, ზდენეკ გრიგერა, კრისტიან პოულსენი, კრისტიანო ძანეტი, ჰასან სალიჰამიჯიჩი, ჯანლუიჯი ბუფონი და დავიდ ტრეზეგე. მაურო კამორანეზი და კლაუდიო მარკიზიო გამოკეთდნენ და შესაძლოა, „სანტიაგო ბერნაბეუზე" გამოჩნდნენ.

„იუვეს" კაპიტანმა ალესანდრო დელ პიერომ, რომელმაც 1996 წელს მოგებულ ჩემპიონთა თასის ფინალში ითამაშა, თქვა: „ჩემპიონატში ზედიზედ სამი მოგებით წინ ნაბიჯი გადავდგით, მაგრამ რაც მანამდე დაგვემართა, იმის მაჩვენებელია, რომ მუდმივად კონცენტრაცია გვჭირდება".



ფაბიო კანავარო (მარცხნივ) დღეს თავის ყოფილ კლუბს დაუპირისპირდება

ესპანეთში „იუვეს" 19 სტუმრობიდან მხოლოდ 2 დამთავრდა იტალიელთა გამარჯვებით, ოთხი ფრედ დასრულდა და 13-ჯერ ტურინელები დამარცხდნენ.

უეფას თასის და ევროპის სუპერთასის მფლობელი „ზენიტი" ჩემპიონთა ლიგაში პირველ მოგებას ბელარუსში ბატე-სთან შეეცდება. ბატე შინ ჯაბანი გუნდი არაა და თვით „იუვენტუსთან" 2:2 ითამაშა, ამიტომ, ალბათ, არც „ზენიტი" უნდა ელოდოს იოლ გასეირნებას.

ბატე-მ ჩემპიონატში შინ „ტორპედოს" 2:1 მოუგო, ხოლო „ზენიტმა" სანკტ-პეტერბურგში „ხიმკის" სძლია — 1:0.

აღსანიშნავია, რომ ბატე „ზენიტთან" ორი კვირის წინ შეხვედრამდე (1:1) რუსულ კლუბებს ექვსჯერ გადაეყარა და ექვსივე მატჩი წააგო.

**კოკი კანდელაკი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 3 | 2 | 1 | 0 | 5:3 | 7 |
| რეალი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:3 | 6 |
| ბატე | 3 | 0 | 2 | 1 | 3:5 | 2 |
| ზენიტი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:4 | 1 |

# ნოლზე, ჯიგარ!




**რას არ** გაიგებ ადამიანი... ბოლო ორ ტურში უეინ რუნი ახალი „ვარცხნილობით“ რომ თამაშობდა, ხომ მიაქციეთ ყურადღება? „მანჩესტერ იუნაიტედის“ 23 წლის ვარსკვლავმა თმა გასულ ოთხშაბათს, „ვესტ ჰემთან“ თამაშის წინ გადაიხოტრა და შაბათს „ჰალთან“ შეხვედრაშიც ასევე გამოვიდა — ეტყობა, კვლავ გადაიტარა სამართებელი, თორემ ერთი მილიმეტრით მაინც ხომ უნდა გაზრდილიყო? ისე, რუნის თმის გადახოტვრა „იუნაიტედისთვის“ იღბლიანი გამოდგა — ხსენებული ორი თამაშიდან პირველი 2:0 მოიგო, მეორე კი 4:3 — მაგრამ ეს იმდენად მნიშვნელოვანი არ არის, რამდენადაც ის, თუ ვინ გადაპარსა უეინს თავი.

ვინ და საკუთარმა კაპიტანმა, რიო ფერდინანდმა. თურმე, რუნი 29 წლის რიოსთან მისულა და შეუჩივლია, აღარ შემიძლია, თმა მცვივა, გარშემო კი, ვისაც არ ეზარება, ყველა მაშაყირებსო.

„უეინს ყელში ამოუვიდა ამდენი შაყირი — უამბო ჟურნალისტებს მავანმა, რომელიც „მანჩესტერის“ შიდა ამბებში ჩახედულია — ისე, როგორც მისი ასაკის ყველა ბიჭი, თმის ცვენას რუნიც ძალიან განიცდის“.

და გამოსავალი მოიძებნა. რაც მთავარია, ასეთი გამოსავალი რუნის მეუღლეს, 22 წლის კოლინსაც მოეწონა, ფერდინანდს კი დალაქობაში ხელი გაწაფული ჰქონია და ახალგაზრდა თანაგუნდელის თმას წუთებში გაუმკლავდა.

გაზეთმა „სანმა“ რუნისა და ფერდინანდის სტილისტურ დამოკიდებულებას ასეთი ფოტომონტაჟი მიუძღვნა, ჩვენ კი გაგვახსენდა, ამ რვა-ცხრა წლის წინ დევიდ ბექჰემმა ასეთსავე ვარცხნილობაში როგორ გადაიხადა 450 გირვანქა...

**ბაკუნა ძიდია**



# V-აი შენს პატრონსო

გოდერძი ჯოგლიძის ამ გარღვევას „ლელოს“ გამარჯვების ლელო მოჰყვა

---

კრივი

# ლივერპულის ოთხეული საელჩომ დაშალა

**გუშინ** საქართველოს მოკრივეთა ნაკრები, ინგლისში, ლივერპულში გასამართ ევროპის ჩემპიონატზე უნდა წასულიყო, მაგრამ გამგზავრებას დღეს გამთენიისას, ისიც ნახევარი გუნდით მოახერხებს.



თენგიზ მესხაძე

ლივერპულში ნაკრები ოთხი მოკრივით მიდიოდა, მაგრამ საქართველოში ბრიტანეთის საელჩომ ჩვენი ოთხი მოკრივიდან ორს ვიზა არ მისცა, ბრიტანელებმა ვიზაზე უარი ბოლო მომენტში კახა ქვანიას (69კგ) და ლევან ღვამიჩავას (64 კგ) უთხრეს, არადა, ნაკრების მწვრთნელი თენგიზ მესხაძე სწორედ ქვანიაზე და ღვამიჩავაზე აკეთებს აქცენტს და მედლებს მათგან ელოდა.

ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, კახა ქვანიამ პეკინის ოლიმპიადაზე იკრივა, ღვამიჩავას კი მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატებზე აქვს ნაჩხუბარი და ძალიან უცნაური და ძნელად წარმოსადგენია, მათი საბუთები წესრიგში თუ არ იყო.

გუშინ გვიან ღამემდე გადაწყვეტილი არ იყო, საერთოდ წავიდოდა თუ არა ჩვენი ნაკრები ლივერპულში, რადგან ჩვენებს პროტესტის ნიშნად გადაწყვეტილი ჰქონდათ, რომ საერთოდ არ წასულიყვნენ ტურნირზე.

გუშინ გვიან ღამით კი საქართველოს ნაკრების მწვრთნელ თენგიზ მესხაძეს რომ დავურეკეთ, ეს გვითხრა: „მართლაც აღარ ვაპირებდით ლივერპულში წასვლას, მაგრამ მერე გადავიფიქრეთ, რადგან დანარჩენი ორი მოკრივე, რევაზ ქარელაშვილი (81 კგ) და კობა ფხაკაძე (60 კგ), უაზრო ბიუროკრატიული მიზეზების გამო იჩაგრებოდნენ და მათ გამო გადავწყვიტეთ ლივერპულში წასვლა.“

შეგახსენებთ, რომ სამი წლის წინ საფრანგეთის საელჩომ საქართველოს ქალ ფეხბურთელთა ნაკრებს ევროპის ჩემპიონატს შესარჩევი ეტაპის მატჩისთვის შვედეთში გასამგზავრებელი ვიზები არ მისცა და ამას სკანდალიც მოჰყვა.

**ბაჩო სვანიძე**

---

ჭიდაობა

# მოჭიდავეთა პრეცედენტი: უპრეცედენტო ბიუჯეტი

**პეკინის** ოლიმპიადის დასრულების შემდეგ ჭიდაობის ფედერაციაში პრესკონფერენცია პირველად გამართა, რომელზეც ფედერაციის პრეზიდენტმა *კახა გეწაძემ* ისაუბრა...

— აგვისტოს მოვლენების გამო პრესკონფერენციის ჩატარებაზე თავს ვიკავებდით. ამის გამო არ გეგონოთ, რომ უმოქმედოდ ვიყავით და ჩინეთში ნაჩვენები ბრწყინვალე შედეგის შემდეგ არაფერი გაგვიკეთებია.

აგვისტოს. შემდეგ საქართველოს სხვადასხვა ასაკის ნაკრებმა ორი საერთაშორისო ტურნირი მოიარა და ორივეში წარმატებით გამოვიდა. მომავალში უკეთეს შედეგებს ვგეგმავთ, ვინაიდან ჩვენი წლევანდელი ბიუჯეტი უპრეცედენტოა ქართული ჭიდაობის ისტორიაში.

**ზურაბ მიგრიაული**

**საერთაშორისო ტურნირი. სომხეთი, ვანაძორი**
**თავისუფალი ჭიდაობა**

| | | | |
|---|---|---|---|
| I ადგილი | | III ადგილი | |
| ბესარიონ გუჩაშვილი | 55 კგ | გიორგი ბალიაშვილი | 66 კგ |
| ნიკოლოზ გაგნიძე | 84 კგ | გელა საღირაშვილი | 74 კგ |
| II ადგილი | | ბელდუხი გავაშელიშვილი | 96 კგ |
| მალხაზ ზარქუა | 60 კგ | დაჩი ქერაშვილი | 96 კგ |
| გიორგი ნიკურაძე | 120 კგ | ლაზარე მარსაგიშვილი | 120 კგ |

**საერთაშორისო ახალგაზრდული ტურნირი**
**თურქეთი, სტამბული**

**ბერძნულ-რომაული ჭიდაობა**

| | | | |
|---|---|---|---|
| I ადგილი | | III ადგილი | |
| მინდია წულუკიძე | 50 კგ | ზურაბ ცინცაძე | 74 კგ |
| არჩილ თურმანიძე | 60 კგ | მიხეილ ქაჯაია | 84 კგ |
| პაატა ბაკურიძე | 66 კგ | გუნდმა დაიკავა პირველი ადგილი, 66 ქულა | |
| არსენ კახაბრიშვილი | 84 კგ | II ადგილი თურქეთი | |
| II ადგილი | | III ადგილი ირანი | |
| გიორგი კბილაშვილი | 120 კგ | | |

**თავისუფალი ჭიდაობა**

| | | | |
|---|---|---|---|
| I ადგილი | | III ადგილი | |
| თორნიკე ხიდაშელი | 96 კგ | გივი დავიდოვი | 55 კგ |
| II ადგილი | | თენგიზ ჩოჩიშვილი | 60 კგ |
| გიორგი საკანდელიძე | 120 კგ | ლევან ბერიანიძე | 120 კგ |

*გუნდმა დაიკავა მეოთხე ადგილი, 41 ქულა*

## ჭყლის თხილამურობა



გენადი გურალია, დავით ნამგალაური და რომან მელია

# გურალიამ სამშობლოს მედლები ჩამოუტანა

**1991 წელს** ... წყალსათხილამურო სპორტ... ევროპის ჩემპიონატი ჩატარდა ... ალბათ გულშემატკივარს ... ახსოვს ქართველი გენადი გ... რომელიც ფოთის ტურნირზე სულ ახალგაზრდა გამოვიდა ... მე-6 ადგილიც დაიკავა. მას შემდეგ ქვეყანაში წყალი აიმღვრა. წყალსათხილამურო სპორტი კი არა, ... გაცილებით პოპულარული სპორტული სახეობები ჩაბარდა წარსულს. გურალიამაც უკეთესი პირობების და კარიერის ძიებაში ევროპას მიაშურა.

გუშინ ჟურნალისტებს საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტში მიგვიწვიეს პრესკონფერენციაზე, რომელზეც ... ცოტა ხნით საქართველოში ჩამოსული, მედლებით დახუნძლული გენადი გურალია გამოცხადდა. პრესკონფერენციაზე ისაუბრეს წყალსათხილამურო სპორტის ფედერაციის პრეზიდენტმა რომან მელიამ, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით ნამგალაურმა და თავად გენადი გურალიამ...

*რომან მელია:* რაც ფოთში 1991 წელს ევროპის ჩემპიონატი ჩავატარეთ, მას შემდეგ ქართული წყალსათხილამურო სპორტის საქმეები ცუდად წავიდა, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ფედერაციამ, მიუხედავად ქვეყანაში განვითარებული ავბედითი მოვლენებისა, თავისი სახე მაინც შეინარჩუნა. ამჟამადაც კი საქართველოს ორი ხმა აქვს ევროპის წყალსათხილამურო ფედერაციაში. რა თქმა უნდა, ჩვენი უმთავრესი პრობლემა ფინანსების უქონლობა იყო და არის კიდეც, მაგრამ გასულ წელს სპორტის დეპარტამენტის დახმარებით ჩვენი ფედერაციის ბიუჯეტმა 20 ათასი ლარი შეადგინა. იმედია, მომდევნო სეზონშიც დაგვეხმარებიან და ერთად შევძლებთ ქვეყანაში ამ სპორტის სახეობის განვითარებას.

*გენადი გურალია:* 1991 წლის შემდეგ ერთი წლით საბერძნეთში წავედი და იქ ვემზადებოდი. მერე ისევ საქართველოში ჩამოვედი, მაგრამ პირობების უქონლობის გამო მიჭირდა არამცთუ ტურნირებზე მონაწილეობა, არამედ ვარჯიშიც კი. ისე მოხდა, რომ ისევ საბერძნეთში ჩავედი და სრულიად მოულოდნელად საბერძნეთის ნაკრები ჩამაბარეს. ჩემი იქ მუშაობის პერიოდში ყველა ტურნირზე აშკარა აუტსაიდერი ნაკრები ლიდერებში გადავიყვანე. ჩემმა მოწაფეებმა ბევრი მედლის მოგება შეძლეს, მაგრამ ეს ჩემთვის საკმარისი არ იყო. მინდოდა, პირადი კარიერაც მქონოდა, რის გაკეთებასაც მწვრთნელობის დროსაც მეტ-ნაკლებად ვახერხებდი. იშვიათად, მაგრამ გამოვდიოდი სხვადასხვა ტურნირზე, ოღონდ ყველგან საქართველოს სახელით და არაერთი ჯილდოც მოვიგე. საბერძნეთში სულ ექვსი წელი ვიმუშავე. ახლა ორი წელია, რაც იტალიაში ვარ, ერთ-ერთ წარმატებულ კლუბში. ცოტა ხნის წინ კი ესპანეთის ქალაქ სერენაში გამართულ მსოფლიოს თასსა და ევროპის ჩემპიონატზე მრავალჭიდში პირველი ადგილი დავიკავე. 3587, 81 ქულა ავიღე მსოფლიოს თასზე, ხოლო 1981,90 ქულა ევროპის ჩემპიონატზე.

**ზურაბ მიზრიაული**

## ხელბურთი

# ჩიქოვანის ნაკრები სერბებმა თქვეს

**საქართველოს** ხელბურთელთა ჩემპიონის სტუ-ს შემადგენლობიდან ზაფხულში მოთამაშეთა ძირითადი ბირთვი რომ წავიდა, ადრეც ვწერდით. ხელბურთელებმა გაურკვეველ სიტუაციაში ყოფნას საზღვარგარეთ ბედის საძიებლად გამგზავრება ამჯობინეს. ზოგი თუ შედარებით სუსტ გუნდებში ჩაირიცხა თურქეთისა და ირანის არცთუ პრესტიჟულ ჩემპიონატებში, სამაგიეროდ, კიდევ ერთი სტუელი ირაკლი ჩიქოვანი საკმაოდ ძლიერ კლუბში სერბულ „მეტალოპლასტიკაში" თამაშობს.

„მეტალოპლასტიკა" სერბეთში გვარიანად კარგ გუნდად ითვლება და წლეულსაც ჩემპიონობისთვის იბრძვის. იქაურ პირველობაში შვიდი ტურია ჩათამაშებული და ქართველის გუნდი 11 ქულით მეორე ადგილზეა. სატურნირო ცხრილს ზემოდან „ცრვენკა" დაჰყურებს, რომელსაც 13 ქულა აქვს და ჩიქოვანის გუნდს ოდენ ორი ქულით უსწრებს.

ბოლო ტურში „მეტალოპლასტიკამ" დაძაბულ თამაშში 32:31 მოუგო „PKB". ირაკლი ჩიქოვანს ამ მატჩში არ უთამაშია, სამაგიეროდ, წინა ტურში „მლადოსტი რადნიკთან" სტუმრად 28:28 დასრულებულ შეხვედრაში გამოჩნდა მოედანზე, თუმცა გოლი ვერ გაიტანა.

„მეტალოპლასტიკას" საიტზე ირაკლი ჩიქოვანზე ცალკე ამბავია დადებული. სერბული საიტი გვაუწყებს, რომ 25 ნოემბრისთვის ქართველი ხელბურთელი საქართველოს ნაკრებშია გამოძახებული.

შეგახსენებთ, ამ დროს ჩვენები პოლონეთში ოთხთა ტურნირზე სათამაშოდ მიდიან.

**ლევან მაისურაძე**

## კალათბურთი

# ცინცაძის ორმაგი დუბლი
## ბუმ როკერებს ქულები ჩამოურიგა

გიორგი ცინცაძე რომ საკმაოდ მაღალი დონის კალათბურთელად ჩამოყალიბდა, ეს შარშანდელმა სეზონმაც დაადასტურა. თუმცა ამის შემდეგაც „ბუ" თითქმის ყველა შეხვედრაში ადასტურებს თავის მაღალ კლასს. ის უკვე არის ტარტუს „როკის" უპირობო ლიდერი. ყველა ლოგიკით საქართველოს ნაკრების გამთამაშებელმა მალე გაცილებით მაღალი დონის გუნდში უნდა გადაინაცვლოს.ამასობაში მისმა „როკმა" ბალტიის თასზე მორიგი შეხვედრა ჩაატარა და მორიგ გამარჯვებასაც მიაღწია.



**როკი 84:69 რიგა**

ლატვიური გუნდი ამ თამაშამდე ოთხი შეხვედრიდან ოთხი გამარჯვებით, ერთპიროვნულად ედგა სათავეში ბალტიის თასის სატურნირო ცხრილს, „როკს" კი ორი მოგება და ორი წაგება ჰქონდა.

სწორედ ასეთი დონის გუნდთან კიდევ ერთხელ გაიბრწყინა გიორგი ცინცაძემ და ორმაგი დუბლით, დიდწილად, განაპირობა თავისი გუნდის გამარჯვება — 16 ქულა, 10 შედეგიანი გადაცემა. მას მხარი ცენტრში, ტანოფა ბერდმაც აუბა — 18 ქულა, 12 მოხსნა და ესტონელებმაც დაამარცხეს არცთუ ხელწამოსაკრავი მეტოქე.

ამ დღეს ვიქტორ სანიკიძეს არ გაუბრწყინია, მან სულ 10 წუთიც კი არ ითამაშა და ამ დროში ძირითადი აქცენტი დაცვაში თამაშზე ჰქონდა გაკეთებული.

აღნიშნული გამარჯვების შემდეგ „როკს" უკვე სამი მოგება და ორი წაგება აქვს, სატურნირო ცხრილში კი მეექვსედან მეხუთე ადგილზე ავიდა.

**გიორგი ცინცაძე:** *37 წუთი, 16 ქულა, 10 პასი, 5 ჩაჭრა, 5 დაკარგვა, 3 პერსონალური შენიშვნა, 8-დან 4 ორქულიანი, 3-დან 1 სამქულიანი, 8-დან 5 საჯარიმო.*

**ვიქტორ სანიკიძე:** *8 წუთი, 2 ქულა, 3 მოხსნა, 2 დაკარგვა, 1 პერსონალური შენიშვნა, 2-დან 2 საჯარიმო.*

**გიორგი არაგული**

## ჩოგბურთი

# ჩვენი ქალების ამბავ-ხაბარი



ეკა გორგოძე

**დაიწყო** ახალი კვირა და, შესაბამისად; ქართველი ჩოგბურთელებიც იწყებენ სხვადასხვა ტურნირზე გამოსვლას, ერთმა კი უკვე დაამთავრა თამაში.

ჯერ დავიწყოთ იმ მოთამაშით, რომელმაც უკვე დაასრულა თამაში ესპანურ მალიორკაზე მიმდინარე 10 000-დოლარიან ტურნირზე.

ანა ჯიქია ამ შეჯიბრზე საკვალიფიკაციო ბადეში მოხვდა, სადაც ორი თამაში მოიგო: ჯერ რუმინელ ილონკა ანხელს სძლია 6:3 6:0, შემდეგ აჯობა ბელგიელ მაილო დე ვილდეს 6:1 6:3. უკვე ძირითად ბადეში გადასასვლელ მატჩში კი ახალგაზრდა ქართველის მეტოქე იყო გერმანელი ვალენტინა სტეფანი, რომელმაც უშანსოდ მოუგო ჩვენიანს — 1:6 1:6.

ამავე ტურნირზე ძირითად ბადეშია ეკა გორგოძე, რომელსაც აშკარად არ გაუმართლა კენჭისყრაში. ის პირველივე წრეში ტურნირის პირველ ნომერს, იტალიელ ანა ფლორისს ხვდება. ეს გოგონა მსოფლიოს 235-ე ჩოგანია.

გერმანიის ქალაქ ისმანინგში იწყება 50-ათასიანი ტურნირი, რომელშიც ქართველი მაკა ჩახნაშვილი ითამაშებს. ის პირველ წრეს რუს ეკატერინა ივანოვასთან დაპირისპირებით იწყებს, არც ერთია განთესილი გერმანულ ტურნირზე.

სულ ბოლოს კი საქართველოს პირველი ჩოგანის, ანა ტატიშვილის, ამბავსაც გეტყვით. ის კვლავ ამერიკაშია, სადაც ობორნში 50 000-დოლიარინი შეჯიბრება იმართება. ამ ტურნირზე ქართველი გოგონა მეექვსე ნომრადაა განთესილი. ანას მეტოქე პირელ წრეში ამერიკელი ანგელა ჰაინსი იქნება.

**გიორგი არაგული**

# ნოდარ ყიფიანი გარდაიცვალა

საქართველოს რაგბის კავშირი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ვეტერანი მორაგბე, ქართული რაგბის მეორე თაობის ვარსკვლავი ნოდარ ყიფიანი.

ნოდარ ყიფიანი ქართული რაგბის ერთ-ერთი ლეგენდა იყო. მეგობრებთან ერთად, სწორედ ნოდარ ყიფიანმა დააარსა სარაგბო კლუბი „ლოკომოტივი", რომელიც ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს იყო ტიტულიანი, ახლა კი საქართველოს ჩემპიონატის ყველაზე ტიტულიანი გუნდია.

# NBA რეგულარული ჩემპიონატი

# მარკი, ძმა პაუსი

3 ნოემბერი

**შარლოტი 83:101 დეტროიტი**

შარლოტი: ბრაუნი (16), ვოლესი (15 ქულა, 11 მოხსნა)

დეტროიტი: ჰემილტონი (19), ვოლესი (15)

**ფილადელფია 125:91 საკრამენტო**

ფილადელფია: იანგი (18), უილიამსი (17), გრინი (16), ბრენდი (15)

საკრამენტო: ტომპსონი (17), პიუისი (16)

**ორლანდო 96:93 ჩიკაგო**

ორლანდო: ჰოვარდი (22 ქულა, 15 მოხსნა, 4 დაფარება), ლუისი (21 ქულა, 11 მოხსნა)

ჩიკაგო: გუდენი (21), ნოჩიონი (20), გორდონი (17), როუზი (14)

**მემფისი 90:79 გ. სტეიტი**

მემფისი: გასოლი (27 ქულა, 16 მოხსნა), გაი (14), მაიო (13)

გოლდენ სტეიტი: ჯეკსონი (17), ბიედრინში (16 ქულა, 22 მოხსნა)

**დალასი 81:100 კლივლენდი**

დალასი: ჰოვარდი (18)

კლივლენდი: ჯეიმსი (29), ილგაუსკასი (17 ქულა, 11 მოხსნა)

**კლიპერსი 73:89 იუტა**

კლიპერსი: კამანი (19 ქულა, 10 მოხსნა), დევისი (14)

იუტა: მილსაპი (24), ოქური (16), კირილენკო (15 ქულა, 11 მოხსნა)

ეს ორშაბათი ერთობ გიჟური გამოვიდა „დეტროიტისთვის." „დგუშებმა" ჯერ ჩონსი ბილაფსი და ანტონიო მაკდაიესი „დენვერს" ალენ აივერსონში გაუცვალეს, მერე კი კიდევ ერთ საკუთარ ვეტერანს, რიჩარდ ჰამილტონს, უდიდესი ნდობა გამოუცხადეს, რაც მისი კონტრაქტის კიდევ სამი წლით გახანგრძლივებით გამოიხატა. „დეტროიტის" მთავარ სნაიპერს 2010 წელს უმთავრდება შვიდწლიანი და 62-მილიონიანი კონტრაქტი და მას მერე კიდევ სამი წლით და 34 მილიონად დარჩება ავტო-ქალაქში.

დეტროიტელებმა თამაშისთვისაც მოიცალეს — მათ ჯერ არც აივერსონი „მიუღიათ" და ბილაფს-მაკდაიესიც აკლდათ, თუმც აუტსაიდერ „შარლოტ ბობქეთსს" მაინც დამაჯერებლად მოუგეს ისე, რომ არც ერთი წამყვანი კალათბურთელი 30 წუთზე მეტად არ დაუტვირთავს მწვრთნელ მაიკლ კარის.

ასევე დამაჯერებლად იმარჯვა ცენტრალური დივიზიონის კიდევ ერთმა ამბიციურმა მკვიდრმა „კლივლენდმა". ლებრონ ჯეიმსის „კავალერია დალასში იქაურ „მავერიკსს" შეხვდა, მაგრამ მიუხედავად ლებრონის თამაშისა, სტუმრებს სულ სხვა კაცმა მოაგებინა. მილუოკიდან ამ ზაფხულს გადაყვანილმა მო უილიამსმა ბოლო მეოთხედის რამდენიმეწუთიანი მონაკვეთი 13:0 მოაგებინა „კლივლენდს" და გასვლაზე გამარჯვება დაუბევა.

ჯერაც დაუმარცხებელმა „იუტამ" ზედიზედ მესამე თამაში მოიგო — ამ ჯერზე შემოემარცხა ამ ზაფხულს შემადგენლობაგაძლიერებული, მაგრამ ტრავმებშეყრილი „კლიპერსი", ვისაც ჯერ არ გამოჰკეთებია მარკუს კემბი. თავის მხრივ, „იუტასაც" აკლია ერთი სუპერვარსკვლავი, დერონ უილიამსი, თუმც „ჯაზმენები" მის გარეშეც ყოჩაღობენ. ამ თამაშში გამოირჩა სათადარიგო ფორვარდი პოლ მილსაპი, რომელმაც 24 ქულა და 9 მოხსნა გააზერხა.

კიდევ უფრო შთამბეჭდავი იყო „მემფისის" ახალბედა მეფარე მარკ გასოლი, რომელიც უფროსი ძმის, პაუს ტრადიციას აგრძელებს და ამ უხეირო გუნდს ფარქვეშეთში სოლიდურობას სძენს. 23 წლის ბასკმა ქვეყანა გააოცა, როცა ნბა-ში თავის მესამე თამაშში 27 ქულა, 16 მოხსნა და 3 დაფარება გააზერხა და დიდწილად, მისი ამ სუპერსტატისტიკის წყალობით, მისისიპისპირელებმა წყნარი ოკეანის პირელი „გოლდენ სტეიტი" დაამარცხეს.

**ირაკლი ფირაშვილი**

# აივერსონი დეტროიტში!

**საპრეზიდენტო** არჩევნების მომლოდინე ამერიკამ ორშაბათს ერთი მოულოდნელი ამბავი შეიტყო — ნბა-ს კლუბმა „დენვერ ნაგიტსმა" ალენ აივერსონი „დეტროიტ პისტონზში" გაუშვა, იქიდან კი წამოიყვანა ასევე ასაკოვანი ორი ვარსკვლავი, ჩონსი ბილაფსი და ანტონიო მაკდაიესი.

გაცვლის მონაწილე სამივე კალათბურთელი მრავლისმნახველი ვეტერანია — მაკდაიესი 2000 წლის სიდნეის ოლიმპიადის ჩემპიონია, ჩონსი ბილაფსი წლების განმავლობაში ლიდერობს მძლავრ „დეტროიტს" და 2004 წელს გაჩემპიონებისას ფინალის უძვირფასეს მოთამაშედაც დასახელდა. სამეულის ყველაზე ცნობადი სახე კი რაღა თქმა უნდა, ალენ აივერსონია — ოთხგის სეზონის ბომბარდირი და 2000-01 რეგულარული ჩემპიონატის უძვირფასესი მოთამაშე.

გუნდებს ამ გაცვლის გასაჩარხად მრავალმა მიზეზმა უბიძგა. „დეტროიტს" ჯერ კიდევ 7-8 წლის წინ სურდა აივერსონის შემატება და ალბათ იმ პრინციპით იმოქმედა — სჯობს გვიან, ვიდრე არასდროსო. აივერსონი ახლა 33 წლისაა, თუმც ლიდერის ტვირთის ტარება ცოტა ხანს კიდევ შეუძლია. ყოველ შემთხვევაში, პლეი ოფის მესამე რაუნდში „დეტროიტის" ზედიზედ სამი დამარცხების მიზეზად ხშირად გამოკვეთილ ლიდერ-სუპერვარსკვლავის არყოლა სახელდებოდა და პრეზიდენდი ჯო დუმარსი რამდენიმე თვის წინ სერიოზულად დაფიქრდა „პისტონზის" კარგად აწყობილი და გაწონასწორებული ხუთეულის დაშლა-განახლებაზე. აივერსონის გადმოყვანის სტრატეგიული მიზეზი კი ის გახლავთ, რომ მას ამ სეზონის შემდეგ კონტრაქტი უმთავრდება და „დეტროიტი" დაახლოებით წლიურ 21 მილიონს გამოათავისუფლებს სახელფასო ფონდში, 2010 წელს კი ლებრონ ჯეიმსის „კლივლენდთან" კონტრაქტს გასდის ყავლი და ეს მილიონები მის მოსახიბლად დასჭირდება.

„დენვერიც" კარგა ხნის წინ მომწიფდა ცვლილებებისთვის. აივერსონთან ერთად გუნდი ვერ გაიზარდა, მაინც პლეი ოფის პირველ წრეში წასაგებადაა განწირული და იქაურებმაც ამ ზაფხულს ჯერ ბერი ცენტრი მარკუს კემბი მოიშორეს, ახლა კი აივერსონის გაცვლაც გარისკეს. მით უმეტეს, ბილაფს-მაკდაიესი მშვენიერი კომპენსაციაა. თანაც ბილაფსი წარმოშობით დენვერიდანაა და იქ ძალიან დაფასებული კაცია. აივერსონის ფაცაფუცა სტილისგან განსხვავებული მისი დინჯი თამაშის მანერა იქნებ კარგად წაადგეს აგერ მერამდენე წელია საშუალოებში გაზიდულ „დენვერს".

**ირაკლი ფირაშვილი**



ალენ აივერსონი



# რეგულარული ჩემპიონატი

3 ნოემბერი

**ნიუ ჯერსი 0:2 ბუფალო**

0:1 0:0 0:1

0:1 პომინვილი (20), 0:2 კალეტა (48)

**აილენდერსი 4:3 კოლუმბუსი**

0:0 3:0 0:3 1:0 (ოვერტაიმში)

1:0 პარკი (24), 2:0 გერინი (31), 3:0 კამპოლი (35), 3:1 მეტო (44), 3:2 ამბერგერი (45), 3:3 ამბერგერი (52), 4:3 კამპოლი (64)

**ჩიკაგო 6:2 კოლორადო**

0:1 2:0 4:1

0:1 პაიტი (17), 1:1 ლედი (24), 2:1 ბრაუერი (38), 3:1 ბარკერი (42), 3:2 ჰეიდუკი (43), 4:2 შარპი (51), 5:2 ლედი (56), 6:2 შარპი (58)

# კვირის სამეული

**გასული** კვირის საუკეთესო მოთამაშეების დასახელებისას მართლაც უნიკალური მოვლენა აღინიშნა— შვიდდღეულის პირველი ვარსკვლავი ერთს კი არა, ერთბაშად სამ ჰოკეისტს ერგო. საუბარი „ანაჰაიმის" უმთავრეს დამრტყმელ სამეულზე გვაქვს რაიან გეცლაფის, კორი პერისა და ვეტერანი ტეემუ სელიანეს შემადგენლობით.

გეცლაფმა გასულ კვირას 10 ქულა (2+8) მოაგროვა და მისგან ყველაზე მეტად ჩემპიონმა „დეტროიტმა" იზარალა, რომელთანაც „იხვების" ცენტრალურმა თავდასხმელმა ხუთი შედეგიანი გადაცემის გაკეთებით კლუბის რეკორდი დაამყარა. პერიმ 9 ქულა (2+7) მოიხვეჭა. ასევე 9 ქულაა სელიანეს ანგარიშზე, მაგრამ ის სნაიპერული თვისებებით უფრო გამოირჩა და ექვსი შაიბა ჩაიწერა აქტივში. გარდა ამისა, „ფინელმა ელვამ" იმავე „დეტროიტთან" 21-ე კარიერული ჰეთ თრიქი მიითვალა, რაც საუკეთესო შედეგია მოქმედ ჰოკეისტთა შორის. ყველაფერთან ერთად სელიანემ ნჰლ-ში გატანილი გოლების რაოდენობა 560-მდე დაამრგვალა და ყველა დროის სნაიპერთა დავაში მე-20 ადგილზე აინაცვლა, რომელსაც ახლა „მონრეალის" ლეგენდარულ ბომბარდირ გი ლეფლერთან იყოფს.

კვირის ორი დარჩენილი ვარსკვლავი კი „ბოსტონის" კარის დარაჯ ტიმ ტომასსა და „ფილადელფიის" ერთ-ერთ ლიდერ სიმონ განიეს ერგოთ. ტომასმა გასულ შვიდდღეულში ოთხიდან სამ მატჩში მოაგებინა თავის გუნდს, თანაც ორჯერ კარი მშრალად შეინახა. განიემ კი მონაგარი რვა ქულით შეივსო (3+5) და ეს მიუხედავად იმისა, რომ მისი ძირითადი მეწყვილე დანიელ ბრიარი დამტვრეულია და კიდევ ერთი თვე ვერ ითამაშებს.

# ოქტომბერი სიომინისაა

**„ვაშინგტონს"**, წესით, მაგრად უნდა გასჭირვებოდა, რადგან გუნდის ლიდერსა და გასული სეზონის საუკეთესო სნაიპერ-ბომბარდირ ალექსანდრ ოვეჩკინს რამდენიმე მატჩის გამოტოვება მოუწია — ოჯახური მიზეზებით რუსეთში იყო, თუმც ლიდერობა მეორე რუსმა, ალექსანდრ სიომინმა შეითავსა.

ჰოდა, არავის გაჰკვირვებია, ეს ბიჭი ოქტომბრის საუკეთესო მოთამაშედ რომ აღიარეს. სიომინმა 9 ჩატარებული შეხვედრიდან 8-ში გამოიჩინა თავი და მთლიანობაში 16 ქულა (8+8) მოაგროვა, რითაც ლიდერობს კიდეც ბომბარდირთა დავას. გარდა ამისა, სიომინის ანგარიშზე სარგებლიანობის +7 კოეფიციენტია.

თვის მეორე ვარსკვლავი „რეინჯერსის" შვედ კიპერ ჰენრიკ ლუნდკვისტს ერგო. აქ კი გასაკვირი ნამდვილად არაფერია, რადგანაც ამ ბიჭისგან მხოლოდ ამ დონის თამაშს ელიან. ლუნდკვისტს მხარი გუნდმაც აუბა და ვიკინგიც თითქმის ყველა სამეკარეო სტატისტიკურ მონაცემებში ლიდერებს შორის არის. კერძოდ, ლუნდკვისტი ოქტომბერში საშუალოდ მხოლოდ 1,99 შაიბას უშვებდა და მისი კარისკენ დარტყმულის 92,8 პროცენტს იგერიებდა, თანაც ჩატარებული 11 შეხვედრიდან 8-ში იმარჯვა.

ოქტომბრის მესამე ვარსკვლავად კი „ნეშვილის" ახალგაზრდა მცველი შეა ვებერი დასახელდა, რომელმაც უკანა ხაზის ისეთი მონსტრები ჩამოიტოვა, როგორებიც ნიკლას ლიდსტრომი, კრის პრონგერი, დიონ პანაფი და ზდენო ხარა არიან. ვებერი გასულ თვეს უდავოდ საუკეთესო იყო თავის ამპლუაში და გარდა უშუალო მოვალეობების ხუთიანზე შესრულებისა (+5), შეტევაშიც გამოირჩა, მოიხვეჭა რა 11 ქულა (4+7).

# მაყურებელი ჰოკეის მიაწყდა

მსოფლიოში ეკონომიკური კრიზისი კი მძვინვარებს, მაგრამ ეს ჯერჯერობით არანაირად არ შეხებია ნჰლ-ს. ამის მთავარი მაჩვენებელი კი ისაა, რომ ლიგის მატჩებზე დასწრებადობა არათუ კლებულობს, არამედ ლამის ყოველკვირეულად იზრდება. ოქტომბერში კი სულაც რეკორდი დამყარდა — გასულ თვეში ნჰლ-ის მატჩებზე საშუალოდ დასწრებადობამ 17 ათასს გადააჭარბა. ეს კი ლიგის ისტორიაში უმაღლესი მაჩვენებელია.

ამის პარალელირად იზრდება ნჰლ-ის სატელივიზიო რეიტინგებიც. მაგალითისთვის, წლეულს „ჰოკი ნაით კანადა"-ს ტელეაუდიტორიამ 12 პროცენტით მოიმატა, „ტსნ"-სა და „ვერსუს"-ს კი 5 პროცენტით მეტი მაყურებელი უყურებს. მნიშვნელოვნად გაიზარდა ნჰლ-ის ოფიციალური საიტის მომხმარებელთა რაოდენობაც.

სპეციალისტები ყველაფერ ამას შედეგიანობის მომატებით ხსნიან — ოქტომბერში გამართულ 149 შეხვედრაში საშუალოდ 5,9 შაიბა გადიოდა. ეს კი შარშანდელთან შედარებით 3 პროცენტით მეტია.

**კახა ლომაშვილი**

Formula 1

რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1

№1 საავტომობილო ზეთი

# ყველაზე ახალგაზრდა და საოცრად ნიჭიერი

## ლუის ჰემილტონს ბევრ ტიტულს უწინასწარმეტყველებენ

„**დიდებული** შეგრძნებაა. დილით რომ გავიღვიძე, გავიფიქრე — წარმოუდგენელია, მე მსოფლიოს ჩემპიონი ვარ! ახლა ჩემს ბოლიდზე ერთიანი ეწერება. ამაზე უკეთესი სხვა რაღა უნდა იყოს" — ეს პირველი ფორმულის ახალი ჩემპიონის, „მაკლარენ-მერსედესის" ინგლისელი მრბოლის ლუის ჰემილტონის სიტყვებია.

ჰემილტონი ახლა სიხარულისგან ალბათ ღრუბლებში დაფრინავს, მაგრამ მიუხედავად ახალგაზრდული ასაკისა, საკმაოდ პრაგმატული კაცია და არც წარსულს ივიწყებს და მომავალზეც ფიქრობს: „შარშანდელმა მარცხმა უფრო ძლიერი გამხადა. წლევანდელ სეზონში მე რამდენიმე შესანიშნავი გამარჯვება მოვიპოვე. მაგალითად, მონაკოში, ინგლისში, გერმანიაში, მაგრამ საკუთარი თუ გუნდის შეცდომების გამო ქულებიც ბევრი დავკარგე. ახლა ყველა ამ შეცდომის გაანალიზებაა საჭირო, რათა მომავალში მსგავსი არ განმეორდეს — განაცხადა ლუისმა და დაამატა — შარშან „მაკლარენის" შეფმა რონ დენისმა მითხრა, თუ სამ ტიტულს მოიგებ, „მაკლარენის" სპორტული ავტომობილის რარიტეტულ მოდელს გაჩუქებო. ყველაფერს გავაკეთებ, ეს მანქანა რომ მივიღო, თუმც ვიცი, რომ ეს უძნელესი საქმე იქნება. მომავალი სეზონი ურთულესი იქნება. წესები იცვლება და პელოტონში სხვაც ბევრია ისეთი, ჩემპიონობა რომ სურს. მათთან ბრძოლა იოლი არ იქნება."

ამასობაში „უილიამ ჰილის" საბუქმეიკერო კანტორამ უკვე დაიწყო ფსონების მიღება 2009 წლის საპირველფორმულო სეზონის ჩემპიონობაზე და ფავორიტი, რა გასაკვირია და, ჰემილტონია 2,75/1 კოეფიციენტით. ბუქმეიკერებმა მეორე ადგილზე 3,75/1 კოეფიციენტით შარშანდელი ჩემპიონი კიმი რაიკონენი დააყენეს, ხოლო ფელიპე მასა, ვისაც წლევანდელი ჩემპიონობა ბოლო რბოლის ბოლო მოსახვევში გაუსხლტა ხელიდან, 5/1 კოეფიციენტით მესამეა. ამათ უკან კი ორგზის ჩემპიონი ფერნანდო ალონსო (7/1), რობერტ კუბიცა (7,5/1), ჰეიკი კოვალაინენი (15/1), სებასტიან ფეტელი (34/1) და ნიკ ჰაიდფელდი (34/1) არიან.

რა იქნება გაისად, ეს ძნელი სათქმელია, ახლა კი წარსულის დიდ მრბოლებს მოვუსმინოთ, რომლებიც აღფრთოვანებას ვერ მალავენ ჰემილტონის გამო.

მიკა ჰაკინენი, მსოფლიოს ორგზის (1998-99) ჩემპიონი, ვინც ჰემილტონამდე უკანასკნელი იყო, ტიტული „მაკლარენის" ბოლიდით რომ მოიპოვა: „ლუისმა უკვე მიაღწია უზარმაზარ წარმატებებს. თანაც ის, ჯერ ძალზე ახალგაზრდაა და ვფიქრობ, თავისი ეპოქის ერთ-ერთი უდიდესი მრბოლი იქნება. შუმახერთან და სენასთან შედარება ჯერ ნაადრევია, მაგრამ მას, მართლაც უზარმაზარი პოტენციალი აქვს".

დეიმონ ჰილი, ჰემილტონამდე უკანასკნელი ბრიტანელი მსოფლიოს ჩემპიონი (1996): „ლუისი წარმოუდგენლად ნიჭიერია. ის უკვე არის ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი ბრიტანელი მრბოლი. ჰემილტონი მსოფლიოს ჩემპიონია და მისთვის ამ ტიტულის წართმევა ძნელი იქნება".

ჯეკი სტიუარტი, მსოფლიოს სამგზის (1969, 1971, 1973) ჩემპიონი: „ვერ ვხედავ ვერანაირ მიზეზს, რომელიც ჰემილტონს მრავალგზის ჩემპიონობაში შეუშლის ხელს. ის ძალიან ადრეულ ასაკში, კარიერის დასაწყისში მოხვდა ტოპ-გუნდში, სადაც მას არნახული მხარდაჭერა და განვითარების რესურსი აქვს. თანაც ლუისი ნამდვილი ტალანტია და კიდევ ბევრს ტიტულს მოიპოვებს. რაც შეეხება წლევანდელ ჩემპიონატს, მე არ მახსოვს ასეთი დრამატული ფინალი — საჩემპიონო კვანძი ბოლო რბოლის ბოლო მოსახვევში გაიხსნა".

სტირლინგ მოსი, ლეგენდარული ინგლისელი მრბოლი: „ის ჭეშმარიტი პილოტია. მანქანას ფანტასტიკურად მართავს. ერთი სიამოვნებაა მისი ყურება".

ერთ-ერთი პირველი, ვინც ლუის ჰემილტონს ჩემპიონობა მიულოცა, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი გორდონ ბრაუნი იყო: „ვულოცავ ლუისს. ვფიქრობ, მთელი ქვეყანა აღფრთოვანებულია მისი ტალანტით. თანაც, დარწმუნებული ვარ — ეს მხოლოდ პირველი ტიტულია იმ მრავალთაგან, რომლებიც მან მომავალში უნდა მოიპოვოს."

დაბოლოს, რადგანაც რამდენჯერმე ხაზგასმით აღინიშნა ჰემილტონის ახალგაზრდული ასაკი, ვთქვათ, რომ ლუისმა მსოფლიოს ჩემპიონობა 23 წლისამ და 299 დღისამ მოიპოვა და ასე ახალგაზრდა აქამდე არავინ გამხდარა ფორმულა 1-ის გვირგვინოსანი. ამასთან დაკავშირებით, აქვე გთავაზობთ იმ მრბოლთა სიას, რომლებმაც მსოფლიოს ჩემპიონობა 30 წელზე ნაკლებ ასაკში მოიპოვეს.

**ქახა ლომაძე**

| მრბოლი | ასაკი | სეზონი |
|---|---|---|
| 1. ლუის ჰემილტონი (ბრიტანეთი) | 23 წელი 299 დღე | 2008 |
| 2. ფერნანდო ალონსო (ესპანეთი) | 24.58 | 2005 |
| 3. ემერსონ ფიტიპალდი (ბრაზილია) | 25.273 | 1972 |
| 4. მიხაელ შუმახერი (გერმანია) | 25.314 | 1994 |
| 5. ნიკი ლაუდა (ავსტრია) | 26.197 | 1975 |
| 6. ჟაკ ვილნევი (კანადა) | 26.200 | 1997 |
| 7. ჯიმ კლარკი (ბრიტანეთი) | 27.188 | 1963 |
| 8. კიმი რაიკონენი (ფინეთი) | 28.4 | 2007 |
| 9. იოჰან რინდტი (ავსტრია) | 28.140 | 1970 |
| 10. აირტონ სენა (ბრაზილია) | 28.223 | 1988 |
| 11. ჯეიმს ჰანტი (ბრიტანეთი) | 29.56 | 1976 |
| 12. ნელსონ პიკე (ბრაზილია) | 29.190 | 1981 |
| 13. მაიკ ჰოტორნი (ბრიტანეთი) | 29.192 | 1958 |
| 14. ჯოდი შექტერი (სამხრეთ აფრიკა) | 29.223 | 1979 |



რონ დენისი, ლუის ჰემილტონი და ლუისის ძმა





ელექტრონული ბიბლიოთეკა

# ნადალის უარი შანხაის

**რაფაელ ნადალი** წლის შემაჯამებელ ტურნირზე არ ითამაშებს. ამას რამდენიმე მიზეზი აქვს — ესპანელზე უკვე რა ხანია საუბრობენ, სეზონმა ზედმეტად გადაღალაო (რაც ბოლო თვეებში მართლაც თვალშისაცემი იყო), თან წინა კვირას დასრულებულ პარიზის მასტერსზე რაფას მუხლის ქრონიკული ტრავმაც გაუმიზეზდა.

ნადალმაც ბოდიში მოუხადა თავის გულშემატკივრებსა და ტურნირის ორგანიზატორებს:

„მინდა ყველას დიდი მოწიწებით მოვუბოდიშო. ეს გადაწყვეტილება იოლი მისაღები არ იყო, მაგრამ მაინც მომიწია. ვიცი, რომ ჩემს გულშემატკივრებს ძალიან სურდათ ჩემი თამაშის ხილვა, მაგრამ იძულებული ვარ ისინი გავაწბილო" — ნათქვამია „როლან გაროსის", უიმბლდონისა და პეკინის ოლიმპიადის ჩემპიონის ოფიციალურ განცხადებაში.

ესპანელს ეგებ გაერიკსა კიდეც მასტერსის თასზე თამაში, მაგრამ რადგანაც ორიოდ კვირაში არგენტინაში ესპანეთის ნაკრებს დევისის თასის ფინალური დაპირისპირება ელის, რაფამ შანხაიში გაფრენას სახლში დარჩენა და მკურნალობა ამჯობინა. ისე ჩვენში დარჩეს და მალიორკელი ძნელი გასამტყუნებელია.

# დოჰური ავან-ჩავანი

**ქალთა** სეზონის შემაჯამებელ ტურნირზე, რომელსაც ამჯერად ყატარის დედაქალაქი დოჰა მასპინძლობს, წლეულს მართლაც უნიკალური მდგომარეობაა შექმნილი — აქ მხოლოდ სამი ქვეყნის მეჩოგნეები არიან წარმოდგენილნი. ასეთი რამ მართლაც რომ პირველად ხდება.

ბოლო წლების ტრადიციით, ყველაზე მასშტაბური წარმომადგენლობა რუსებს ჰყავთ და აკი დოჰაში ჩასული 8 მეჩოგნიდან ნახევარი სწორედაც რუსია. დარჩენილი ოთხი ადგილი კი კარგად მოგეხსენებათ, რომ სერბებსა და ამერიკელებს აქვთ განაწილებული.

ჰოდა, ტურნირის ორგანიზატორებმაც გარკვეული ირონია გამოიჩინეს, რადგანაც შთაბეჭდილება იქმნება, რომ ჯგუფები ეროვნული ნიშნით იქნა გადანაწილებული. კერძოდ, სერბები ერთ ჯგუფში არიან, ამერიკელები — მეორეში. შესაბამისად, ჯგუფებში ერთმანეთის გარდა მათ მეტოქეებად მხოლოდ რუსები ეყოლებათ.

შავდა უილიმსებს ნამდვილად შეუძლიათ ბედს დაემდურონ, რადგანაც მხოლოდ მეორედ მოახერხეს წლის შემაჯამებელ ტურნირზე ერთად მოხვედრა და აქაც ერთმანეთს უნდა დაეტაკონ. მეორე მხრივ კი ეს შეიძლება მათ ხელსაც აძლევდეთ, რადგანაც ტურნირზე ჯგუფური სისტემა მოქმედებს — ანუ ყველა ყველას ხვდება — და შავდებსაც ერთმანეთის დახმარების საშუალება ექნებათ. თუმც საეჭვოა ამ ჭკუაზე იყოს ამ სეზონის ყველაზე სტაბილური მეჩოგნე დინარა საფინა, რომელიც ნამდვილად არავის დაუდებს ტოლს. ამ ჯგუფის მეოთხე წევრი კი ელენა დემენტიევაა, რომლისგანაც დოჰაში ექსტრაორდინალურს ნამდვილად არავინ ელის — პეკინის ოლიმპიური ოქროს მოგებით მან არა მარტო ამ წლის, არამედ ეგებ მთლიანად კარიერის ნორმა შეასრულა.

სერბებს — ელენა იანკოვიჩსა და ანა ივანოვიჩს — კი სვეტლანა კუზნეცოვასთან და ვერა ზვონარიოვასთან მოუწევთ დატაკება. აქ ბალკანელები უეჭველი ფავორიტები არიან, რადგანაც კუზნეცოვას წლეულს ღირებული თითქმის არაფერი უქნია, მეტიც, კინკილა ტიტულიც კი არ მოუგია. ზვონარიოვასთან კი ორივე სერბს კარგად გამოსდის თამაში, რაც მათ სეზონის ბოლო კვირებში საქმითაც დაამტკიცეს და ვერა, შესაბამისად მოსკოვსა და ლინცში დაამარცხეს.

თუმც სანამ ემოციებისა და ვნებათაღელვის კოცონი კორტზე დაუნთიათ, დოჰაში ჩასული მეჩოგნეები ერთიანი ფრონტით გამოვიდნენ WTA-ს წინააღმდეგ — ნადალისა არ იყოს, ქალი ჩოგბურთელებიც გადატვირთულ კალენდარს უჩივიან და მის შემსუბუქებას ითხოვენ, თუ არადა შედარებით დაბალი დონის ტურნირების ბოიკოტირებით იმუქრებიან.

ამ ყველაფერს ისეთი პირი უჩანს, რომ სულ მალე მეჩოგნეებსა და საჩოგბურთო ასოციაციებს კალენდრის თემაზე სერიოზული სჯაბაასის გამართვა მოუწევთ.

**ქახა ლომჯარიძე**

# ჩემპიონთა ლიგა 2008-2009. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. [illegible]

## A ჯგუფი

**კლუჟი 1:2 ბორდო**

0:1 გურკუფი (6), 1:1 დანი (9), 1:2 ვენდელი (38)
კლუჟი: სტანჩოიუ, ტონი (პანინი 64), კადუ, დე სოუზა (დეაკი 78), პერეირა, დანი, მურეშანი, დუბარბიე, პერალტა (ე. კონე 68), კულიო, ი. კონე
მწვრთნელი: მაურისიო ტრომბეტა
ბორდო: ქალვერდე, ჟურიეტი, დიავარა, პლანუსი, შალმე, დიარა, ცვერნანდო, ვენდელი (ობერტანი 77), გურკუფი, ბუფრანი (ბელიონი 77), შემაკი
მწვრთნელი: ლორან ბრანი
გაფრთხილება: გურკუფი, ვენდელი, დიავარა, დანი, მურეშანი
მსაჯი: მასიმო ბუზაკა (შვეიცარია)
20 500 მაყურებელი

**რომა 3:1 ჩელსი**

1:0 პანუჩი (34), 2:0, 3:0 ვუჩინიჩი (48, 58), 3:1 ტერი (75)
რომა: დონი, სისინიო, მექსესი, ჟუანი, პანუჩი, დე როსი, პეროტა (ტადეი 72), პრიზი, პისარო, ტონი (ბაპტიშტა 62), ვუჩინიჩი (რიისე 88)
მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი
ჩელსი: ჩეხი, ბრიჯი, ალექსი, ტერი, ბოსინგვა (კალუ 63), ლამპარდი, ობი, დეკუ, მალუდა (დროგბა 46), ანელკა, ჯ. კოული (ბელეტი 46)
მწვრთნელი: ლუიშ ფელიპე სკოლარი
გაფრთხილება: დეკუ, პეროტა
გაძევება: დეკუ (81)
მსაჯი: ლუის მედინა კანტალეხო (ესპანეთი)
38 425 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 4 | 2 | 1 | 1 | 6:3 | 7 |
| რომა | 4 | 2 | 0 | 2 | 7:5 | 6 |
| ბორდო | 4 | 2 | 0 | 2 | 4:8 | 6 |
| კლუჟი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:4 | 4 |

## B ჯგუფი

**ანორთოსისი 3:3 ინტერი**

0:1 ბალოტელი (13), 1:1 ბარდონი (31), 1:2 მატერაცი (44), 2:2 პანაგი (45), 3:2 ფროუსოსი (50), 3:3 კრუსი (80)
ანორთოსისი: ბექსი, გეორგიუ, კაცავაკისი, კონსტანტინუ, ლეივაკაბესი, დობრაშინოვიჩი, ბარდონი (ოცოკოლიჩი 78), ლაბანი, კოშტა (პანაგი 43), პაპერი, ფროუსოსი (სკოპელიტისი 78)
მწვრთნელი: თემურ ქეცბაია
ინტერი: სეზარი, ძანეტი, მატერაცი, ბურდისო (ვიეირა 58), მაიკონი, მანსინი (მაქსველი 58), კამბიასო, სტანკოვიჩი (კრუსი 57), კუარეშმა, იბრაჰიმოვიჩი, ბალოტელი
მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ
მსაჯი: ლორან დუამელი (საფრანგეთი)
18 000 მაყურებელი

**ვერდერი 0:3 პანათინაიკოსი**

0:1 მანციოსი (58), 0:2 კარაგუნისი (70), 0:3 ციოლისი (83)
ვერდერი: ვიზე, პრიოდლი (ფრიცი 46, სანოგო 68), მერტეზაკერი, ნალდო, პასანენი, ბაუმანი, ვრანიეში (ჰუნტი 64), დიეგუ, იოზილი, როსენბერგი, პისარო
მწვრთნელი: თომას შააფი
პანათინაიკოსი: გალინოვიჩი, სპიროპულოსი, სარიეგი, ვინტრა, ნილსონი, ჟილბერტო, სიმაო, ციოლისი, კარაგუნისი (გუმასი 79), გაბრიელი (მუნი 75), მანციოსი (სალპინგიდისი 89)
მწვრთნელი: ჰენკ ტენ კატე
მსაჯი: ვიქტორ კასაი (უნგრეთი)
35 968 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 4 | 2 | 2 | 0 | 7:4 | 8 |
| ანორთოსისი | 4 | 1 | 2 | 1 | 6:5 | 5 |
| პანათინაიკოსი | 4 | 1 | 1 | 2 | 6:7 | 4 |
| ვერდერი | 4 | 0 | 3 | 1 | 3:6 | 3 |

## C ჯგუფი

**სპორტინგი 1:0 შახტარი**

1:0 დერლეი (73)
სპორტინგი: პატრისიო, აბელი, კანეირა, პოლგა, გრიმი, ველოსო, როშემბაკი, იზმაილოვი (პერეირინია 90), მაუტინიუ, ლიედსონი, პოშტიგა (დერლეი 69)
მწვრთნელი: პაულუ ბენტუ
შახტარი: პიატოვი, რაცი, ჩიგრინსკი, კუჩერი, სრნა, უილიამი, ფერნანდინიუ, ჰუფშმანი (ლევანდოვსკი 81), ჟადსონი (ადრიანო 75), მორენო, ბრანდაუ
მწვრთნელი: მირჩა ლუჩესკუ
გაფრთხილება: მაუტინიუ, პოშტიგა, ჰუფშმანი, ჩიგრინსკი, ჟადსონი, ბრანდაუ
მსაჯი: ალენ ჰამერი (ლუქსემბურგი)
24 282 მაყურებელი

**ბარსელონა 1:1 ბაზელი**

1:0 მესი (62), 1:1 დერდიოკი (82)
ბარსელონა: ვალდესი, პუიოლი, მარკესი, პიკე, სილვინიო, ბუსკეტსი, სანჩესი (ხავი 60), ინიესტა (ეტოო 67), კრკიჩი (მესი 60), გლები, ანრი
მწვრთნელი: ხოსეპ გვარდიოლა
ბაზელი: კოსტანცო, საფარი, მარკი, ფერატი, ცანი, ჰუგელი, პეროვიჩი (ედუარდო 59), სტოკერი (გელაბერტი 83), ერგიჩი, კარლიტოსი, შტრელერი (დერდიოკი (69)
მწვრთნელი: კრისტიან გროსი
გაფრთხილება: კასტანცო
მსაჯი: ალექსანდრ ტუდორი (რუმინეთი)
47 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 4 | 3 | 1 | 0 | 11:3 | 10 |
| სპორტინგი | 4 | 3 | 0 | 1 | 5:3 | 9 |
| შახტარი | 4 | 1 | 0 | 3 | 3:5 | 3 |
| ბაზელი | 4 | 0 | 1 | 3 | 2:10 | 1 |

## D ჯგუფი

**ლივერპული 1:1 ატლეტიკო**

0:1 როდრიგესი (37), 1:1 ჯერარდი (90პ)
ლივერპული: რეინა, არბელოა, კარაგერი, აგერი, აურელიო, ალონსო, მასკერანო (ლუკასი 77), კუიტი, ჯერარდი, რიერა (ბაბელი 61), კინი (ნგოგი 71)
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
ატლეტიკო: ფრანკო, პერნია, პერეა, ჰეიტინგა, ლოპესი, სიმაო (გარსია 90), მანიშე, ასუნსაო, როდრიგესი, გარსია, ფორლანი (აგერო 71)
მწვრთნელი: ინგასიო ამბრისი
გაფრთხილება: მანიშე, პერნია, პერეა, ჰეიტინგა, აგერო
მსაჯი: მარტინ ჰანსონი (შვედეთი)
42 010 მაყურებელი

**მარსელი 3:0 პსვ**

1:0 კონე (30), 2:0, 3:0 ნიანგი (63, 71)
მარსელი: მანდანდა, ბონარტი, კანა, ჰილტონი, პაივო, მბამი, ძიანი, ბენ-არფა (კაბორე 74), შეირუ, კონე (ვალბუენა 82), ნიანგი (გრანდინი 86)
მწვრთნელი: ერიკ გერეტსი
პსვ: ისაკსონი, სალსიდო, სიმონსი, ადო (კრომკამპი 66), მარსელისი, ბაკალი (ძეუძაკი 61), მენდესი, ვუიტენსი, კულინა, აფელაი (ნილანდი 78), კუვერმანსი
მწვრთნელი: ჰუუბ სტევენსი
გაფრთხილება: კულინა, ადო
მსაჯი: ნიკოლა რიცოლი (იტალია)
40 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ატლეტიკო | 4 | 2 | 2 | 0 | 7:3 | 8 |
| ლივერპული | 4 | 2 | 2 | 0 | 7:4 | 8 |
| მარსელი | 4 | 1 | 0 | 3 | 5:6 | 3 |
| პსვ | 4 | 1 | 0 | 3 | 3:9 | 3 |

# ბარსელონამ და სპორტინგმა მერვედფინალის კარი შეაღეს



ბრემენელმა ტიმ ვიზემ ასეთი ძნელი ბურთებიც იგდო, მაგრამ სამი მაინც გაუშვა

**შეცვლაზე** შესვლიდან 13 წუთში „ბაზელის“ ფორვარდმა ერენ დერდიოკმა ათი მეტრიდან ცხრიანში შეაგდო გოლი, რომელითაც მესის კოხტად გატანილი გაქვითა და „ბარსელონას“ 11-მატჩიანი მოგებათა სერია შეწყვიტა.

ორი კვირის წინანდელი 5:0 აღარ განმეორდა, რადგან „ბაზელიც“ უკეთ იცავდა თავს და მაინცდამაინც არც „ბარსას“ ეტყობოდა იგივე ანგარიშით მოგების სურვილი.

დერდიოკზე ნაკლები, ოთხი წუთი დასჭირდა შეცვლაზე შესულ დერლეის „შახტარისთვის“ გასატანად და „სპორტინგმა“ დონეცკური მატჩის ანგარიში ლისაბონშიც გაიმეორა.

შედეგად „ბარსამ“ და „სპორტინგმა“ მერვედფინალის საგზურები გაიფორმეს.

თემურ ქეცბაიას „ანორთოსისი“ ორჯერ აგებდა „ინტერთან“, მაგრამ იმდენი ქნა, მეორე ტაიმის დასაწყისში დაწინაურდა, თუმც ხულიო კრუსი რის კრუსი იქნებოდა, „ინტერი“ რომ არ გადაერჩინა. არგენტინელს ალბათ თავადაც აღარ ახსოვს, შეცვლაზე შესულმა რამდენჯერ იხსნა მარცხისგან „ინტერი“ ან თამაში მოაგებინა.

უხვგოლიან მატჩში „ბრწყინვალე“ იყო ნიკოლას ბურდისოს საგოლე პასი. არგენტინელმა თავით დაუბრუნა ბურთი მეკარეს, მაგრამ ჟულიო სეზარი უკვე წინ გამოსულიყო და ბურთი ცარიელი კარის წინ სედრიკ ბარდონს დარჩა. ბარდონი უკეთესს რაღას ინატრებდა და გაათანაბრა.

ერთი მეორეზე ლამაზი გოლები გაუშვა ბრემენში „ვერდერმა“ და მოულოდნელად დიდი ანგარიშით დამარცხდა. მანციოსმა საჯარიმოს ხაზიდან გაიტანა, კარაგუნისმაც დაახლოებით იმავე მანძილიდან ცხრიანში ჩასვა და ბოლოს ციოლისის დარტყმული მერტეზაკერს მოხვდა ფეხში და ბურთი კარის კუთხეში შევარდა.

„პანათინაიკოსმა“ ჯგუფში პირველი მატჩი მოიგო და მერვედფინალში გასვლის შანსი გაიცოცხლა.

შვეიცარიელმა მსაჯმა მარტინ ჰანსონმა „ენფილდზე“ მეხუთე წამატებულ წუთზე საკამათო პენალტი დანიშნა „ატლეტიკოს“ კარში და „ლივერპულის“ რვათვიანი საშინაო წაუგებელი სერია იხსნა. თერთმეტი მეტრიდან ჯერარდმა შეაგდო და მაქსი როდრიგესის გატანილი გაქვითა.

„მარსელმა“ ბაკარი კონეს გოლით და მამადუ ნიანგის დუბლით ჯგუფში პირველი თამაში პსვ-სთან მოიგო და მეტოქეს მესამე ადგილი წაართვა.

გაიხარა დატანჯულმა „რომამ“, რომელსაც ყველა ტურნირში ზედიზედ ხუთი მატჩი ჰქონდა წაგებული და „ჩელსისთან“ გამარჯვებით გონზე მოვა. ანგარიში კრისტიან პანუჩიმ გახსნა და მირკო ვუჩინიჩმა წყვილი გაიტანა. მათგან ერთი საუცხოო გამოვიდა, რადგან ჩერნოგორიელმა თითქმის 70 მეტრი ირბინა და ჩეხთან ერთი-ერთზე დარჩენილმა ბურთი კოხტად ჩააბზრიალა ბადეში.

„კლუჟმა“ „ბორდოსთან“ მეორე მატჩიც წააგო, ამ ჯგუფიდან კი მერვედფინალში გავლის შანსს ოთხივე გუნდი ინარჩუნებს.

**ვაჟა ხუციშვილი**

## ავსტრია

ბუნდესლიგა

კერნტენი 3:3 რაპიდი

## სლოვაკეთი

თასი

სტრედა 1:1 არტმედია
რუჟომბეროკი 2:0 დუბნიცა
ზლატე მორავცე 1:1 (3:5პ) კოშიცე

## ირლანდია

პრემიერდივიზიონი

სტ პატრიკსი 0:1 კორკი

## ინგლისი

კარლინგის თასი

ბრაიტონი 1:4 დერბი

LDV ტროფი

შრიუსბერი 5:0 დაგენემი
ტრანმერი 1:0 მორეკომბი
სკანთორპი 1:0 როჩდეილი
ბორნმუთი 0:1 კოლჩესტერი
დარლინგტონი 1:0 ბარი
როტერჰემი 2:0 ლესტერი
უოლსოლი 0:1 ლუთონი

## რუმინეთი

თასი

ვასლუი 3:0 პოლი იაში

## შოტლანდია

პრემიერლიგა

რეინჯერსი 3:3 დანდი იუნ.

I დივიზიონი

ერდრი 1:3 დანფერმლაინი

## უელსი

პრემიერდივიზიონი

აბერისტვითი 0:3 კარმარტენი


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ქორქოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი აზულედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბეხელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge